# ახალი განათლება

2015 წელი, 19-25 თებერვალი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№7 (681) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## ვისურვებდი, სწორედ ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები იყოს საქართველოს სამომავლო განვითარების ფუნდამენტი და ამოსავალი წერტილი

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია ლერი ხუფენია, მალმეს უნივერსიტეტის სტუდენტი

„მალმეს უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე სახლად იქცა, რომელშიც განსხვავებული ნაციონალობის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებთან ერთად, პირველ რიგში, ურთიერთპატივისცემასა და გუნდური მუშაობის მნიშვნელობას ვსწავლობ.“

გვერდი 6-7

ინფორმაცია

### საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა

გვერდი 3

პედაგოგთა დასახმარებლად

### ბენჯამენ ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია

ფრანგული ენა

### *Ролевые игры на уроках РКИ*

რუსული ენა

გვერდი 4-5

## წიგნიერების კომპეტენციის განვითარება თანმხლები ხარვეზების ფონზე



*„კითხვის საათს“ შეიძლება ვუწოდოთ – მოსწავლესთან ურთიერთობა წიგნის საშუალებით. კლასიკური ზღაპრები, იქნება ეს ანდერსენი, შარლ პერო თუ ძმები გრიმები, ძალიან მდიდარია სიუჟეტებით, რომელთა გაცნობა ბავშვს დაანახებს საკუთარ განცდებს, ფიქრებს და გაუმდიდრებს გამოცდილებას.“*

*„მასწავლებლები არ უნდა შეიზღუდონ და არ უნდა იფიქრონ, რომ ეს მხოლოდ საგაკვეთილო პროცესია, „კითხვის საათი“ უფრო მეტად სასიამოვნო გარემოდ უნდა აქციონ ბავშვებისთვის, შეიყვანონ ისინი წიგნის ჯადოსნურ სამყაროში და, რაც მთავარია, თავად აღმოაჩენინონ ბევრ კითხვაზე პასუხი, აგრძნობინონ, რომ ისინი მარტო არ არიან თავიანთ განცდებთან ერთად, შეიძლება ეს სხვასაც განუცდია.“*

*„სკოლის პროგრამაში ასეთი საათის შემოტანა, უკვე სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატვაა ამ პრობლემური საკითხისადმი. კითხვის კომპეტენციისადმი ყურადღების მიქცევა დაგვიანებულიცაა, არამც თუ დროული, მაგრამ მაინც დაწყება სჯობს ყოველთვის კარგი საქმისა, თუნდაც ეს გვიანი დასაწყისი იყოს.“*

*„ალბათ შემოქმედებითი ნატურის მასწავლებელი ამას უკეთ გაართმევს თავს და არასდროს შეურჩევს პატარას ისეთ ტექსტს, რომელიც ცრუ ღირებულებების, ყალბი პათეტიკის და ასაკთან შეუფერებლობის გამო, კითხვას შეაძულებს ბავშვს.“*

გვერდი 2

აქტუალური თემა

# წიგნიერების კომპეტენციის განვითარება თანამხლები ხარვეზების ფონზე

ლალი ჯელაძე

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით, მოსწავლეებმა კვირაში ერთი საათი სხვადასხვა ლიტერატურის კითხვას უნდა დაუთმონ. მოზარდები საკითხავი მასალის არჩევანში შეზღუდულები არ არიან – მათ შეუძლიათ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების ნაწარმოებები წაიკითხონ. სამინისტროს ინიციატივა ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით: კითხვის ტექნიკის გაძლიერება; წაკითხულის განხილვა-გააზრება; მსჯელობის უნარის განვითარება; პრეზენტაციის და შემოქმედებითი უნარების განვითარება და ა.შ. როგორც ყველა სიახლის დანერგვას, „კითხვის საათის“ შემოღებასაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ნაწილი ამ ინიციატივას დადებითად აფასებს, სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ სიახლის დანერგვა შეცდომაა, პროექტი საპილოტედ რამდენიმე სკოლაში უნდა განხორციელებულიყო და მხოლოდ გამართლების შემთხვევაში მოეცვა ყველა საჯარო სკოლა. ერთ-ერთ პრობლემად კვალიფიციური პედაგოგების მოძებნაც სახელდება და თუ „კითხვის საათს“ სნორად შერჩეული პედაგოგი არ გაუძღვება, შეიძლება უკუშედეგიც მივიღოთ. სკეპტიკურად განწყობილ საზოგადოებას ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ექსპერტი **თამარ ჯაყელი** ასე პასუხობს:

*„თანამედროვე ყოფას თუ გადავხედავთ, თითოეული ინდივიდი, ამ საყოველთაო კომუნიკაციის ეპოქაში, სრულიად იზოლირებულ მდგომარეობაშია. ვიცი, რომ ჩვენი წინაპრები ოჯახში შვილებს, შვილიშვილებს ზღაპრებს, ლეგენდებს, ოჯახურ ამბებს უყვებოდნენ – ეს კულტურა, ზოგადად, საქართველოში არსებობდა და საკმაოდ ინტენსიურად. „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბავშვებს ეს აკლია – შესაძლოა, ეს ეპოქამ მოიტანა, რაც, სამწუხაროდ, ბავშვის შინაგანი სამყაროს გაღარიბებას იწვევს. წიგნის კითხვის პროცესი ბავშვს მისცემს შესაძლებლობას აღმოაჩინოს, გაამდიდროს თავისი ემოციური და სააზროვნო სამყარო. წიგნის სამყარო გააერთიანებს და გაამდიდრებს მის ცნობიერებას.*

*„კითხვის საათს“ შეიძლება ვუწოდოთ – მოსწავლესთან ურთიერთობა წიგნის საშუალებით. კლასიკური ზღაპრები, იქნება ეს ანდერსენი, შარლ პერო თუ ძმები გრიმები, ძალიან მდიდარია სიუჟეტებით, რომელთა გაცნობა ბავშვს დაანახებს საკუთარ განცდებს, ფიქრებს და გაუმდიდრებს გამოცდილებას. მასწავლებელი უნდა შეეცადოს ეს დრო ბავშვისთვის სასიამოვნო პროცესად აქციოს. სასურველია, სკოლამ შეარჩიოს გარემო, სადაც ბავშვები მყუდროდ იგრძნობენ თავს და საშუალება მიეცემათ, თავისუფლად ისაუბრონ საკუთარ აზრებსა და განცდებზე, ეს აუცილებელ პირობად უნდა იქცეს.*

*მეორე, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება მასწავლებელმა, არის ის, თუ რა ცოდნა და გამოცდილება აქვთ ბავშვებს – თუ ისეთი ოჯახიდან მოდიან, სადაც წიგნებს არასდროს უკითხავენ, მაშინ მათ გარკვეული ლიტერატურული ტიპის ზღაპრების ან ტექსტების გაგება გაუჭირდებათ. ამიტომ წასაკითხი ტექსტები სირთულისა თუ სიმარტივის მიხედვით უნდა შეარჩიონ, რომლებიც მათ გამოცდილებას დაუკავშირდება. თუ მოსწავლეს უჭირს იმის აღქმა, რასაც მასწავლებელი უკითხავს, პედაგოგმა უნდა აიღოს უფრო პატარა მოცულობის და იოლად აღსაქმელი, მარტივი ენით დაწერილი ტექსტები თუ წიგნები. ბავშვი აუცილებლად დაინტერესდება, თუკი წაკითხული ტექსტი რაღაცით ეპასუხება მის გამოცდილებას. დამრიგებელს, რომელსაც თავისი სადამრიგებლო პროგრამა აქვს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, რომელ ბავშვს რა აინტერესებს, რა აფიქრებს და წასაკითხი ტექსტიც შეიძლება, სწორედ ამის მიხედვით შეარჩიოს. შესაძლოა ზოგიერთ მოსწავლეს შემეცნებითი საკითხები მეტად აინტერესებდეს, ვთქვათ სამყაროზე, ცხოველებზე და ა.შ., სხვას კი – ზღაპრული სამყარო. კითხვის პროცესს აუცილებელად უნდა მოჰყვეს მსჯელობა, საუბარი – წაკითხულის გააზრება. მასწავლებლები არ უნდა შეიზღუდონ და არ უნდა იფიქრონ, რომ ეს მხოლოდ საგაკვეთილო პროცესია, „კითხვის საათი“ უფრო მეტად სასიამოვნო გარემოდ უნდა აქციონ ბავშვებისთვის, შეიყვანონ ისინი წიგნის ჯადოსნურ სამყაროში და, რაც მთავარია, თავად აღმოაჩენინონ ბევრ კითხვაზე პასუხი, აგრძნობინონ, რომ ისინი მარტო არ არიან თავიანთ განცდებთან ერთად, შეიძლება ეს სხვასაც განუცდია.*

*უნდა წარმოვიდგინოთ უფრო ოჯახური გარემო – დედები, მამები, ბებიები და ბაბუები რომ უკითხავდნენ წიგნებს ბავშვებს. მათ ტრენინგებს არავინ უტარებდა, როგორ წაეკითხათ, ეს ბუნებრივი გამამდიდრებელი ურთიერთობა იყო თაობებს შორის. ასეთი კუთხით შევხედოთ „კითხვის საათსაც“და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – არ ვაქციოთ ეს პროცესი საგაკვეთილო აქტივობად. სასურველია, წიგნის არჩევანი ბავშვებსაც მიანდონ, ან სულაც მათთან ერთად აირჩიონ, რა წაიკითხონ. არ არის გამორიცხული, ბავშვებმა თავად წამოიღონ სახლიდან მათთვის საყვარელი წიგნი, რომლის წაკითხვასაც ისურვებდნენ. ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს გამამდიდრებელი ურთიერთობა თანატოლებსა და მასწავლებლებს შორის, ამისთვის კი განსაკუთრებული რეცეპტები, ვფიქრობ, საჭირო არ არის.*

*შედეგების გამოსაკვლევად შეიძლება მონიტორინგის ჩატარება – რა როლი ითამაშა „კითხვის საათმა“ ბავშვებისთვის. შეიძლება რომელიმე ბავშვზე, რომელიმე წიგნმა ძალიან დიდი ზეგავლენაც კი იქონიოს და რაღაც შესაძლებლობებიც გაშალოს, სხვა ბავშვზე – სხვა წიგნმა და ა.შ. მართალია, ბავშვები არ უნდა დარჩნენ თავიანთ თავთან და მხოლოდ ტელეეკრანებთან მარტო. წიგნის გარემოში შეიძლება რაღაც განცდები, მოსაზრებებიც კი დაფრთიანდეს და ზოგადად კითხვამ ბავშვის ემოციურ და შემოქმედებით განვითარებაზე იმოქმედოს, ანუ ამისგან ჩვენ არაპირდაპირ შედეგებს უნდა ველოდეთ, თუკი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე წარიმართა როგორც საჭიროა. ნებისმიერი მასწავლებელი, რომელსაც ბავშვი უყვარს და მასთან ერთად რაღაცას წაიკითხავს, აუცილებლად საკუთარ თავსაც შეჰმატებს და ბავშვსაც – ეს ურთიერთობა ხომ ორმხრივია.*

ნინო ჭაკვეტაძის ილუსტრაციები

*წასაკითხი ლიტერატურა, რასაკვირველია, უნდა იყოს საბავშვო. არც ერთ შემთხვევაში კლასიკური ლიტერატურა, ზღაპრები მათ ზიანს არ მიაყენებს. საინტერესოა ისიც, რას აირჩევენ მასწავლებლები წასაკითხად, ამას ალბათ მონიტორინგი გამოაჩენს. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ მავნებელი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება. იმასაც ამბობენ, რომ ასე შეიძლება ბავშვებს კითხვა შეაძულონო, მაგრამ „მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტია“. ასე თუ ვიმსჯელებთ, მასწავლებელმა შეიძლება ნებისმიერი საგანი შეაძულოს მოსწავლეს, მაგრამ ამის გამო საგანს ხომ არ ამოვიღებთ სწავლებიდან, ეს კიდევ სხვა პრობლემაა, რომელსაც აუცილებლად უნდა მივხედოთ.“*

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წიგნიერების კომპეტენციის გასავითარებლად დაგეგმილ საგანმანათლებლო აქტივობებში მოსალოდნელი ხარვეზების ასაცილებლად, რაც შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით ყოფილიყო განპირობებული – ახალი ინიციატივის მიზნების სათანადოდ არცოდნა, მეთოდოლოგიური რესურსის არქონა და ა.შ. – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაგეგმა სამდღიანი ტრენინგი – „წიგნიერების განვითარება სადამრიგებლო საათზე“, რომლის გავლა ყველა დამრიგებლისათვის სავალდებულოა. 2014 წელს ეს ტრენინგი თბილისის მასშტაბით ჩატარდა, 2015 წლის თებერვლიდან კი რეგიონებსაც მოიცავს.*

*ტრენინგის მიზნების შესახებ საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ტრენერი* **ირაკლი ხვედელიძე,** *რომლის უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა ტრენინგი: „წიგნიერება, როგორც წესი, წერასა და კითხვასთან ასოცირდება; შესაბამისად, როცა პედაგოგები მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებას ცდილობენ, აქტივობებიც მხოლოდ წერა-კითხვით შემოიფარგლება. გარდა იმისა, რომ ამ თვალსაზრისით მუშაობა წიგნიერების უნარის სრულყოფილად განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, გაკვეთილების შემდეგ კვლავ აკადემიურ გარემოში ყოფნა მოსწავლეთათვის დამღლელია.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, ტრენინგით განსაზღვრულია წიგნიერების ცნების ფართოდ გააზრება და შესაფერისი, თამაშზე, შემოქმედებითობასა და ინსცენირებაზე ორიენტირებული მეთოდების გაცნობა. ტრენინგით გათვალისწინებულ თითოეულ მეთოდს პედაგოგები პრაქტიკულად ეცნობიან: ხდება საგაკვეთილო პროცესის მოდელირება, მასწავლებლები მეთოდის მსვლელობის დეტალებსა და მოსალოდნელ სირთულეებს ტრენერთან ერთად აზუსტებენ. პედაგოგებისათვის დარიგებულ სამუშაო ფურცლებს ერთვის რამდენიმე ლიტერატურული ტექსტი, რომლებიც ტრენინგზე მუშავდება და შესაძლებელია ამავე სახით მათი სადამრიგებლო საათზე გამოყენება.*

*წიგნიერების ცნებასთან ერთად სატრენინგო აქტივობები ემერჯენტული (ადრეული) წიგნიერების გაცნობასაც ისახავს მიზნად. აღსაზრდელთა მხრიდან სკოლამდელი განათლების ხშირად არასრულფასოვნად მიღების გამო, პედაგოგმა დაწყებით კლასებში დროულად უნდა აღმოფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც მოსწავლეს წიგნიერების კომპეტენციასთან დაკავშირებით ბაღის ასაკიდან გადმოჰყვა სკოლაში.*

*აღნიშნული ტრენინგის გავლის შემდეგ, ნებისმიერი პედაგოგისათვის ნათელი ხდება „კითხვის საათის“ მიზნები და მათ აქვთ ის მინიმალური მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც, სულ მცირე, კითხვის საათის სწორად დაგეგმვას უზრუნველყოფს. რაც შეეხება პედაგოგთა ზოგად კვალიფიკაციას, მისი ამაღლება ხანგრძლივი პროცესია და ბუნებრივია, ერთი სამდღიანი ტრენინგით წარმოუდგენელია, დასრულდეს.“*

*პოეტი* **მარიამ წიკლაური** *კითხვის კომპეტენციისადმი ყურადღების მიქცევას არამცთუ დროულად, დაგვიანებულადაც კი მიიჩნევს: „ყველაფერი, ყველა ქმედება, რაც წიგნთან დააახლოებს ბავშვს, ჩემთვის სასიხარულოა, მით უფრო, თუ ამას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭება. სკოლის პროგრამაში ასეთი საათის შემოტანა, უკვე სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატვაა ამ პრობლემური საკითხისადმი. კითხვის კომპეტენციისადმი ყურადღების მიქცევა დაგვიანებულიცაა, არამც თუ დროული, მაგრამ მაინც დაწყება სჯობს ყოველთვის კარგი საქმისა, თუნდაც ეს გვიანი დასაწყისი იყოს.*

*კითხვის ჩვევის გამომუშავებას ერთი გაკვეთილი ვერანაირად უშველის. ჩემთვის ასეთივე მნიშვნელოვანი იქნება, ეს გაკვეთილები ტარდებოდეს არა კლასში, არამედ ბიბლიოთეკაში, ტარდებოდეს სემინარი, თუნდაც სემესტრში ორჯერ, მშობლებისთვისაც, რადგან კითხვა ოჯახში ჩამოსაყალიბებელი ჩვევაა და ამას ერთი გაკვეთილი უფრო ფორმალურად დაეხმარება. იქნებ ვცდები, მაგრამ გაკვეთილს და სწავლით პროცესს ზოგი ბავშვი გაურბის და ასეთ გაკვეთილებს, ანუ კითხვის საათებს, უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი ხასიათი, სკოლის უახლოესი ბიბლიოთეკის მონახულება, გაწევრიანება, თუნდაც ძველი წიგნების შეკეთება-მოვლის ჩვევების გამომუშავება, საკლასო ბიბლიოთეკის მოწყობა და ა.შ., რომელშიც ბავშვი უფრო ადვილად მოახერხებს საკუთარი უნარების გამომჟღავნებას და კითხვა არ იქნება დამთრგუნველი სავალდებულო პროცესი. მასწავლებელი თავის შეხედულებით არჩევს საკითხავს, რამდენადაც ვიცი. არადა უმრავი მასწავლებელი შემხვედრია, რომელიც საერთოდ არ იცნობს საბავშვო ავტორებს, არც ძველს და არც ახალი თაობისას. ეს ფაქტია, არადა კარგი საკითხავი უნდა შეურჩიონ, ინტერაქტიულ პროცესებში უნდა ჩართონ ბავშვი, თანამედროვე ბავშვს მწერალიც უნდა გააცნონ. ამ ყველაფერს კი სჭირდება იმის ცოდნა, რა გაქვს შენი მოსწავლისათვის მისაწოდებელი, ვინ გყავს ბავშვებისათვის გასაცნობი, როგორ უნდა დაინტერესო ბავშვი წიგნით – საამისოდ მეთოდური ცოდნაცაა საჭირო, კარგი თამაშებიცაა გამოსაგონებელი... ალბათ შემოქმედებითი ნატურის მასწავლებელი ამას უკეთ გაართმევს თავს და არასდროს შეურჩევს პატარას ისეთ ტექსტს, რომელიც ცრუ ღირებულებების, ყალბი პათეტიკის და ასაკთან შეუფერებლობის გამო, კითხვას შეაძულებს ბავშვს. ალბათ, გაგრძელებებით კითხვასაც თავისი ხიბლი აქვს ასაკის შესაბამისად, მაგრამ ამ დროს პატარა ნაწარმოებებს უნდა მოძებნა და თან ბავშვისათვის ახლობელ თემებზე. გამიხარდება, თუ ამ კითხვის გაკვეთილების ფარგლებში ბავშვები ახალ წიგნებსაც გაიცნობენ, ახალ ავტორებსაც და ძველ კარგ ავტორებს, რომლებიც ნამდვილად ქმნიდნენ საბავშვო ლიტერატურას, გაიცნობენ თარგმანებსაც და ვინ იცის, თავიანთ თავშიც აღმოაჩენენ მთხრობელსა და მეზღაპრეს.“*

წიგნიერების კომპეტენციის განვითარება სადამრიგებლო საათზე საკმაოდ სერიოზული მიდგომაა. იმისთვის, რომ ბავშვი წიგნს დავუახლოვოთ, დამრიგებლებისთვის ტრენერისა და ექსპერტების მიერ შეთავაზებული რჩევები მართლაც საჭირო და მნიშვნელოვანია, რადგან „კითხვის საათმა“ ფორმალური ხასიათი არ მიიღოს და მისთვის განკუთვნილი 45 წუთი ჩვეულებრივი გაკვეთილისგან განსხვავებული მეთოდებით წარიმართოს და ეს დრო მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ. მიუხედავად იმისა, რომ რესურსები აქამდეც არსებობდა – მასწავლებელთა სახლის მიერ გამოცემულია წიგნები – მეთოდიკა, დარიგებულია სკოლებში, ასევე იყიდება დისკები, რომლებზეც დატანილია მეთოდები, რომლებზეც ტრენინგებზე ესაუბრებიან. აღმოჩნდა, რომ პედაგოგების, დაახლოებით, 95 პროცენტი არ იცნობდა ამ მეთოდებს და არ ჰქონდათ ეს რესურსი გათვალისწინებული. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ემერჯენტული (ადრეული) წიგნიერების დონე საქართველოში ძალიან დაბალია, რაც სკოლამდელი განათლების სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს და სარკესავით აისახება დაწყებით განათლებაზე. ყველაფერი კი, ისევ და ისევ, დამოკიდებულია პედაგოგზე: *„ვნახოთ, გამოჩნდება, რა შედეგებს მივიღებთ“* – ამბობს **თამარ ჯაყელი** და იმედს იტოვებს, რომ: *„თუ მასწავლებლები ამას გულით და სიყვარულით გააკეთებენ – გადამწყვეტი სწორედ ეს არის – კარგ შედეგებზე გავლენ“.*

ინფორმაცია

## საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ დირექტორობის სერტიფიკატის მქონე პირებს. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, დირექტორის სერტიფიკატის მქონე პირებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა ვებგვერდზე www.directors.mec.gov.ge. ელექტრონული განაცხადის შევსების ვადად განსაზღვრულია 16-დან 19 თებერვლამდე პერიოდი. რეგისტრაციის ბმული გაიხსნება 16 თებერვალს 10:00 საათზე.

კონკურსანტებს საშუალება ექნებათ, მონიშნონ ის 3 სკოლა, სადაც კონკურსში მონაწილეობის სურვილი აქვთ. ამასთან, არ არის შეზღუდული ერთხელ მონიშნული სკოლის შეცვლა. 19 თებერვალს მონიშნული სკოლები (ერთი, ორი ან სამი, კონკურსანტის სურვილის მიხედვით) იქნება საბოლოოდ დამტკიცებული.

ელექტრონული რეგისტრაციისთვის სავალდებულო დოკუმენტებია:

– პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
– ფოტოსურათი;
– სამოტივაციო წერილი.

## სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. პროექტის „სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა“ პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიებაზე მოწვეულ პედაგოგებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წამომადგენლებმა.

პროექტის მთავარი მიზანია სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა და მათთვის, ინტენსიური ტრენინგების გზით, სამართლებრივი განათლების მიწოდება. პროექტის ფარგლებში, შეიქმნა პროფესიული დახელოვნების ერთგვარი პლატფორმა და შერჩეულ სკოლებში პრაქტიკული სამართლის გაკვეთილების ინპლემენტაცია დაიწყება.

პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოში, საფუძველი ჩაეყრება სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გრძელვადიანი მომზადების სისტემურ პროგრამას, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოცემული დისციპლინის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხს გაუმჯობესებს.

საიას განათლების ხელშეწყობის ფონდი, 2005 წლიდან, აქტიურად მუშაობს სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და სტუდენტებთან სრულფასოვანი სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების ასამაღლებლად.

ფონდის პარტნიორები, პროექტის განხორციელებაში, არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ.

## უპრეცედენტო თანამშრომლობა თურქეთის უმსხვილეს კომპანიასთან

კოლეჯ „სპექტრისა“ და კომპანია „ჯეოტურანის“ თანამშრომლობის საფუძველზე, კოლეჯს საერთაშორისო ტექნოლოგიების კომპანიების – თურქეთის უმსხვილესი ჰოლდინგის „ტურან-ბორფიტის“, მსოფლიო ბრენდის „როტენბერგერის“ ექსკლუზიური წარმომადგენლის საქართველოში – „აზია ენერჯისა“ და კომპანია „ფერის“ ხელმძღვანელი პირები ეწვივნენ. სტუმრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** უმასპინძლა.

ვიზიტის მთავარი ამოცანა იყო მემორანდუმის გაფორმება და სამომავლო თანამშრომლობის კონტრაქტის ხელმოწერა ურეკში მიმდინარე მაგისტრალური წყალსადენების შედუღების პროექტების შესრულებასთან და პროექტის განხორციელებაში კოლეჯის კურსდამთავრებულთა ჩართვასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრსა“ და თურქეთის უმსხვილეს ჰოლდინგ „ტურან-ბორფიტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს: კოლეჯის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, მათ გადამზადებას თანამედროვე პროგრამებით, კვალიფიკაციის ამაღლებას სტამბულში არსებულ საწარმოში და მათ სერტიფიცირებას. ეს პროცესი „ტურან-ბორფიტის“ ბაზაზე წარიმართება და შედეგად, კარგი განათლებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები ადვილად შეძლებენ დასაქმებას. ღონისძიების ფარგლებში, მემორანდუმი გაფორმდა „სპექტრსა“ და კომპანია „ფერის“ შორისაც.

ზემოაღნიშნული თანამშრომლობა კომპანია „ჯეოტურანთან“ კოლეჯის პარტნიორობის საფუძველზე განხორციელდა. „სპექტრში“ უკვე ხორციელდება ახალი პროექტი „ევრომასტერი“, გაიხსნა თეორიული პრაქტიკის ლაბორატორია, კოლეჯი აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით.

კომპანია „ჯეოტურანი“ ახალი გამოწვევაა ქართულ ბაზარზე, მის საქმიანობას წარმოადგენს: ნებისმიერი დიამეტრის მილების პირაპირა და ელექტრო შედუღება-რეკონსტრუქცია, წყლისა და გაზის გაჟონვის აღმოჩენა-მომსახურება, გაჭედილი საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების წმენდა-რეკონსტრუქცია, მილების ტელედიაგნოსტიკა, დამარხული ჭებისა და კაბელების მოძებნა სპეცაპარატით, ცენტრალური გათბობისა და კონდიცირების სისტემების წმენდა-დიაგნოსტიკა და სხვ.

## პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია გრძელდება

საქართველოს მასშტაბით პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. რეგისტრაციის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრში გაეცნო.

ცენტრში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ხორციელდება. კოლეჯში შემუშავებული ყველა საფეხურის პროფესიული პროგრამები და სხვადასხვა მოკლევადიანი სასერტიფიკატო ტრენინგ-კურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებსაა მორგებული, რაც სტუდენტების მაღალი ხარისხის თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია: ინჟინერიის, ხელოვნების, ბიზნესის ადმინისტრაციისა და სხვ. ცენტრი ახორციელებს მე-2, მე-3 და მე-4 საფეხურის 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: მოლარე (ბანკის და ა.შ.); მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი; ძრავის შემკეთებელი; ავტომობილის შემკეთებელი ელექტრომექანიკოსი; ავტომობილის დიაგნოსტიკოსი; ინფორმაციული ტექნოლოგი; სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; საკერავი მანქანების ოპერატორი; ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი); კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი; ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი); ბუღალტერი; კომპიუტერული გრაფიკოსი; ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი; მცირე ბიზნესის მწარმოებელი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; ტოპოგრაფი. გარდა ამისა, შემუშავებულია მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები.

საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯში 620 სტუდენტი ჩაირიცხა, მსურველი კი, 1040-ზე მეტი იყო, ზოგიერთ პროგრამაზე კონკურსი იყო 1/12-ზე. 2015 წელს კოლეჯი 950-მდე სტუდენტის მიღებას გეგმავს, რასაც შესაძლებელს ხდის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება და ინფრასტრუქტურის განვითარება. ყველა პირობაა შექმნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მისაღებადაც.

საქართველოს მასშტაბით არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში მსურველთა რეგისტრაცია 5 მარტის ჩათვლით გაგრძელდება და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, სახელმწიფო დაფინანსებით, მისთვის სასურველ პროფესიას დაეუფლოს.

**55-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, დირექცია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი**

**ზინაიდა რაჟდენის ასული ცინცაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

**გარდაიცვალა განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, 48-ე საჯარო სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და ისტორიის დამსახურებული მასწავლებელი**

**ნადია იასონის ასული ნოზაძე**

**გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.**

**მეგობრების ჯგუფი**

*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*



### მასწავლებლის სამუშაო რვეული

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**3 ლარი**

### მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5.50 ლარი**

### დამრიგებლის პორტფოლიო

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**5.50 ლარი**

### მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

**3 ლარი**



### კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
**599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია**

პედაგოგთა დასახმარებლად

მაკა ნადარეიშვილი

ფრანგული ენა

# ბენჯამენ ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია

თამანედროვე პედაგოგიკაში ძალიან ბევრს საუბრობენ ბენჯამენ ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომიის შესახებ. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, ეს ტაქსონომია პრაქტიკული ნაწილისთვის მომერგო და მისი გამოყენების ერთი კონკრეტული მაგალითი შემომეთავაზებინა. აღსანიშნავია, რომ ყველა მიზნის ერთ გაკვეთილში მიღწევა შეუძლებელია, ამიტომაც შემოგთავაზებთ გაკვეთილების ციკლს. თუმცა, თავდაპირველად, ერთი-ორი სიტყვით შემოგთავაზებთ ბლუმის ტაქსონომიის მიზნებს.

ბლუმის ტაქსონომიას ეყრდნობა მთელი სასწავლო კურიკულუმი მარტივიდან რთულისკენ. მისი ხატოვანი სახე შემდეგია:

პირველი სამი დონე – ცოდნა, გაგება გამოყენება – დაბალ სააზროვნო უნარებად მიიჩნევა, ხოლო შემდეგი სამი – ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი – მაღალ სააზროვნო უნარებად. აღსანიშნავია, რომ ეს დონეები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და, თუ რომელიმე მათგანი არ არის განვითარებული, შეუძლებელია შემდეგზე გადასვლა. ყოველი მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითრება.

ახლა კი, ვნახოთ, პრაქტიკულად როგორ ხდება ამ ტაქსონომიის გათვალისწინება უცხო ენის, კონკრეტულად კი – ფრანგულის გაკვეთილზე.

**თემა: წელიწადის დროები და ამინდი**

**ცოდნა:** 45წთ.

**ამინდის პროგნოზისთვის საჭირო უპირო ზმნების ახსნა:**

გამონვევის ფაზაზე მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს https://www.youtube.com/watch?v=5I8KNtyZb4g&list=PL55F323B8300A537B ან https://www.youtube.com/watch?v=Rs75GlQBdU0&index=4&list=PL55F323B8300A537B

ამის შემდეგ მოსწავლეები დააჯგუფებენ ამინდის ლექსიკას შემდეგ ჯგუფებში:

**Il fait + adjectif** (მოსწავლეები ჩამოთვლიან ზედსართავებს: ცივა, ცხელა და ა.შ.);

**Il y a + nom** (მოსწავლეები ჩამოთვლიან არსებითებს: ნისლი, ღრუბელი და ა.შ.);

**Il + verbe** (მოსწავლეები ჩამოთვლიან ზმნებს: თოვს, წვიმს და ა.შ.).

**მასწავლებელი სრულყოფს ჩამონათვალს და მოსწავლეებს დამატებით ლექსიკას მიაწოდებს (რაც შეიძლება უხვს).**

**მოსწავლეები მოისმენენ ამინდის პროგნოზს (ჩანაწერს).**

https://www.youtube.com/watch?v=BGFoA_HW9iY

**საშინაო დავალება**: აღწერეთ ერთი კარგი და ერთი ცუდი ამინდი (გააკეთეთ ამინდის პროგნოზი – météo).

**გაგება:** 45წთ.

**გონებრივი იერიში**: მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე წელიწადის დროებს და, წინა გაკვეთილზე დასწავლილი მასალით, მოსწავლეები გამოთქვამენ თითოეული დროისთვის მახასიათებელი ამინდის პროგნოზს.

**მასწავლებელი შეაჯამებს.**

**აჩვენებს აუდიო-ვიდეო მასალას – წელიწადის დროების აღწერა.**

https://www.youtube.com/watch?v=1gFIpeIvaAc

მოსწავლეები ისმენენ და თან ვიზუალურად აღიქვამენ მოსმენილს.

**დავალება:** აღწერეთ წელიწადის ოთხივე დრო.

**გამოყენება:** 45წთ.

მოსწავლეებს, პატარა ჯგუფებში, მიეცემათ დავალება, გააკეთონ წელიწადის ერთ-ერთი დროის **პრეზენტაცია** არა მხოლოდ ვერბალური, არამედ ვიზუალური და, სურვილის შემთხვევაში – აუდიო.

**ანალიზი:** 45წთ.

**მასწავლებელი ხსნის** ზედსართავი სახელის, არსებითი სახელის, ზმნიზედისა და ზმნის **შედარებით ხარისხს.**

მოსწავლეები ახსნილს სავარჯიშოებში განამტკიცებენ.



LE COMPARATIF
et LE SUPERLATIF

Paul est **plus** riche **que** Jean, mais il travaille **moins**.



LE COMPARATIF

• On place « **plus** », « **aussi** » ou « **moins** » devant un **adjectif** ou un **adverb** et « **que** » devant le terme comparé :

*Jean est **plus** rapide **que** Pierre.* *Jean travaille **plus** vite **que** Pierre*
*Jean est **aussi** rapide **que** Paul.* *Jean travaille **aussi** vite **que** Paul.*
*Jean est **moins** rapide **que** Jim.* *Jean travaille **moins** vite **que** Jim.*

• Avec un **verbe** et un **nom**, on utilise :

*Alain gagne* { *plus* / ***autant*** / *moins* } *que Jean.* *Alain a* { *plus* / ***autant*** / *moins* } ***d'**argent que Jean.*

• La deuxième partie de la comparaison peut être sous-entendue :

*Paul travaille **moins,** mais il est **plus** riche (que Jean).*

• Dites : *Jean est aussi dynamique que Pierre.*
Ne dites pas : *Jean est aussi dynamique comme Pierre.*

• Pour « comme », dites :

*Elle est belle **comme** le jour.*
***Comme** toi, j'aime la neige.*

LE SUPERLATIF se forme en plaçant « **le** », « **la** » ou « **les** » devant le comparatif et « **de** » devant le groupe de comparaison (facultatif) :

*Zoé est **la** plus grande **de** la classe.*
*Marc est **le** moins grand (de la classe).*

• On utilise très souvent le superlatif avec « c'est » … « qui » :

***C'est** Paul **qui** est le plus grand.*
***C'est** Annie **qui** écrit le mieux.*

• On prononce le « **s** » de « **plus** » en fin de phrase et dans « **plus que** » :

*C'est Jean qui gagne le plus, mais il travaille plus que les autres.*



EXERCICES

**1** **Comparez aujourd'hui et autrefois en utilisant les comparatifs manquants.**
(–) Aujourd'hui, les travaux ménagers sont *moins* durs *qu'* autrefois.

1. (+) Le niveau de vie est _____ élevé _____ autrefois.
2. (–) Les aliments sont _____ naturels _____ avant.
3. (+) Les femmes sont _____ indépendantes _____ autrefois.
4. (–) Les voyages sont _____ dangereux _____ dans le passé.
5. (–) La nature est _____ sauvage _____ avant.
6. (=) L'être humain est _____ mystérieux _____ autrefois.
7. (+) Les informations circulent _____ vite _____ au siècle dernier.
8. (+) Les gens vivent _____ longtemps _____ avant.
9. (=) Les hommes se battent _____ aveuglément _____ autrefois.

**2** **Complétez le texte avec « aussi » ou « autant de ».**
Les chiens ne sont pas *aussi* indépendants *que* les chats.

1. Philippe achète _____ vêtements _____ sa femme.
2. Il n'y a pas _____ touristes _____ l'année dernière.
3. Ma fille est _____ grande _____ moi.
4. Les Italiens ne mangent pas _____ beurre _____ les Français.
5. Souvent, au bar, l'eau coûte _____ cher _____ le vin !

**3** **Faites des phrases au comparatif puis au superlatif, selon le modèle.**

| | Salaire | Temps de travail |
|---|---|---|
| Marie | 10 000 F/mois | 35 heures/semaine |
| Claire | 8 000 F/mois | 44 heures/semaine |
| Julie | 12 000 F/mois | 35 heures/semaine |
| Rachel | 10 000 F/mois | 39 heures/semaine |

*Claire gagne moins que Rachel, mais elle travaille plus (qu'elle).*

*C'est Julie qui gagne le plus.*



EXERCICES

**1** **Créez des phrases selon le modèle, en utilisant le vocabulaire ci-dessous.**
chaud tôt près vieux cher vite
Il fait 25 ° à Paris et il fait 20 ° à Lisbonne.
*Il fait plus chaud à Paris qu'à Lisbonne.*

1. Pierre arrive au bureau à 8 h 30 et Claire à 10 heures.
2. La voiture roule à 150 km/heure et la moto à 180 km/heure.
3. Alain a 50 ans et Adrien 40 ans.
4. La pizzeria est à environ 300 mètres et le restaurant à 500 mètres.
5. Le disque compact coûte 150 francs et la cassette 80 francs.

**განმტკიცების მიზნით**, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოიტანონ მაგალითები წელიწადის დროებზე და **შეადარონ წელიწადის რომელიმე ორი დრო** (მუშაობა წყვილებში).

**დავალება**: შეადარეთ წელიწადის დროები (დავალება – ინდივიდუალური).

**სინთეზი:** 45წთ.

**მასწავლებელი ხსნის პირობით კილოს**, მის წარმოებას და ფუნქციას. მოსწავლეები ახსნილს სავარჯიშოებში განამტკიცებენ.



LE CONDITIONNEL

– Je **voudrais** parler à Monsieur Durand.
– Il n'est pas là. Vous **devriez** rappeler dans un quart d'heure.

L'EXPRESSION de la POLITESSE et du DÉSIR

■ On utilise le conditionnel pour demander **poliment** un service :
– *Je **voudrais** un renseignement.* (verbes « vouloir »
– *Est-ce que je **pourrais** parler à Monsieur Bruni ?* et « pouvoir »)

■ On utilise le conditionnel pour faire une suggestion, donner un **conseil** :
– *Vous **devriez** moderniser votre entreprise.* (verbe « devoir »)
– *Tu **devrais** te faire couper les cheveux.*

■ On utilise le conditionnel présent pour exprimer un **désir** :
– ***J'aimerais** savoir dessiner.* (verbes « aimer »
– ***Je voudrais** être en vacances.* et « vouloir »)

■ On utilise le conditionnel passé pour exprimer des **regrets** :
– ***J'aurais aimé** faire des études scientifiques.*
– ***J'aurais voulu** être pianiste.*
– ***J'aurais dû** travailler davantage.*

FORMES COURANTES

| | Présent | | Passé | |
|---|---|---|---|---|
| VOULOIR | *je voudrais* | *vous voudriez* | *j'aurais voulu* | *vous auriez voulu* |
| AIMER | *j'aimerais* | *vous aimeriez* | *j'aurais aimé* | *vous auriez aimé* |
| DEVOIR | *je devrais* | *vous devriez* | *j'aurais dû* | *vous auriez dû* |

(Autres usages et formation complète, voir pp. 220 et 224.)



EXERCICES

**1** **Répondez au choix en utilisant une forme de politesse.**
– Vous voulez un thé ou un café ? – *Je voudrais un café.*

1. – Vous voulez un ou deux sucres ? – _____
2. – Vous voulez une brioche ou un croissant ? – _____
3. – Vous voulez faire une pause ou continuer ? – _____
4. – Vous voulez sortir ou rester ici ? – _____
5. – Vous voulez lire ou écouter une cassette ? – _____

**2** **Faites des phrases avec une forme de politesse, selon le modèle.**
une table près de la fenêtre / des haricots (à la place des frites) / la carte / le café avec le dessert / un peu de pain / l'addition / une carafe d'eau

– *Est-ce que je pourrais avoir une table, près de la fenêtre ?* _____

**3** **Donnez des conseils, selon le modèle.**
Dormir en moyenne huit heures / Boire beaucoup d'eau / Partir un mois en vacances / Faire 15 minutes de gymnastique / Faire de la marche à pied / Manger des légumes verts

Pour être en forme, *vous devriez dormir en moyenne huit heures.* _____

**4** **Exprimez des désirs, selon le modèle.**
Parler couramment français / Avoir dix ans de moins (de plus) / Avoir plus de temps libre / Être à la mer (à la montagne)

*J'aimerais parler couramment français.* _____

**5** **Monsieur Dupond est vieux et il a des regrets. Exprimez-les.**
Voyager - Parler plusieurs langues - Être un artiste - Être célèbre - Avoir des enfants - Profiter davantage de la vie - Acheter une maison - Faire des économies

*J'aurais aimé (voulu)...* _____
*J'aurais dû...* _____



LES HYPOTHÈSES

– **S'il fait** beau demain, **nous irons** à la campagne.
– **S'il fait** froid, **nous irons** au cinéma.

L'HYPOTHÈSE sur LE FUTUR

■ « QUAND » et « SI »

• « **Quand** » suivi du futur simple indique une **certitude** :
*L'année prochaine, quand je reviendr**ai,** je retourner**ai** au Ritz.*
*Demain, quand Paula m'appeller**a,** je l'inviter**ai** à dîner.*

• Quand il n'y a pas de certitude, on fait une « **hypothèse sur le futur** » et on utilise :

| hypothèse | conséquence |
|---|---|
| « SI » + PRÉSENT | FUTUR SIMPLE |

*L'année prochaine, si je **reviens,** je retourner**ai** au Ritz.*
*Demain, si Paula m'**appelle,** je l'inviter**ai** à dîner.*

• La partie de la phrase introduite par « si » n'est jamais au futur :
***Si j'ai** des vacances et **si j'ai** de l'argent, je partirai à Rio.*

• Il ne faut pas confondre le « si » de l'hypothèse et le « si » du discours indirect qui peut être suivi du futur :
*Je ne sais pas **si** (oui ou non) je viendrai.*
*Il lui demande **si** (oui ou non) elle pourra le faire.*

• Quand la phrase exprime une vérité générale ou une recommandation, la conséquence est au présent ou à l'impératif :
*Si on mange mal, on risque de tomber malade.*
*Si tu sors, mets ton manteau.*

## პედაგოგთა დასახმარებლად



EXERCICES

1 **Répondez selon le modèle, en utilisant une hypothèse.**
– Quand vous reviendrez à Paris, où habiterez-vous ?
– *Si je reviens à Paris, j'habiterai à l'hôtel.*

- Quand vous changerez de voiture, quelle voiture achèterez-vous ?
- Quand vous inviterez Alice à dîner, où l'emmènerez-vous ?
- Quand vous ferez une fête, ce sera un samedi ou un dimanche ?
- Quand vous partirez en vacances, où irez-vous ?
- Quand vous reviendrez en France, dans quelle ville habiterez-vous ?

2 **Faites des phrases « en chaîne » selon le modèle.**
Sortir sans parapluie - Se mouiller - Prendre froid - Tomber malade - Manquer l'école - Rater ses examens - Travailler l'été - ne pas partir en vacances - Ne pas faire de tennis

*Tu sors sans parapluie, tu te mouilleras, si tu te mouilles,...*

3 **Transformez les phrases selon le modèle.**
Pour faire des économies d'énergie, **installez** un double vitrage !
*Si vous installez un double vitrage, vous ferez des économies d'énergie !*

Pour recevoir un catalogue, **envoyez** une enveloppe timbrée à votre adresse.
Pour augmenter vos bénéfices, **diminuez** vos frais de gestion.
Pour être efficace, **informatisez** vos services !
Pour éviter les embouteillages, **partez** très tôt !
Pour faire moins d'erreurs de grammaire, **parlez** plus lentement !

**მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან** ვარაუდები შემდეგ თემაზე: როგორ ვიცხოვრებდით, წელიწადის მხოლოდ ერთი დრო რომ იყოს?

მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, ჰიპოთეზებს ჩაინიშნავს.

შემდეგ **დავალებაში** სთხოვს, იმავე თემასთან დაკავშირებით, ამ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით, **საკუთარი აზრი წერილობით გამოთქვან** (სამუშაო – ინდივიდუალური).

**შეფასება**: 45წთ.

**მასწავლებელი ხსნის იმ სიტყვებს**, რომლებიც მოსწავლეებს საკუთარი **აზრის გამოთქმასა** და **არგუმენტირებაში** (მარტივ დონეზე) დაეხმარებათ.

### სავარაუდო ჩამონათვალი

| | |
|---|---|
| საკუთარი თვალსაზრის ის გამოხატვა | **À mon avis,…**<br>**De mon point de vue,…**<br>**En ce qui me concerne,…**<br>**Il me semble que …**<br>**Selon nous,…**<br>**Je crois que…**<br>**Personnellement,…**<br>**Mon sentiment c'est que…** |
| დათანხმება | **Bien entendu.**<br>**Sans aucun/moindre doute.**<br>**Complètement.**<br>**Totalement/Sans réserves.**<br>**Je partage ton idée/ton analyse/ton sentiment/ton raisonnement/tes conclusions.** |
| უარყოფა | **Je désapprouve** cette décision.<br>**Il/C'est inadmissible/ inacceptable/intolérable d**'accepter sa présence après ce qu'il a fait.<br>**Je proteste contre** cette décision. |
| დარწმუნებულობის/ეჭვის გამოხატვა | **Je suis (absolument/tout à fait/complètement) sûr/certain/convaincu/persuadé de…**<br>**Je me demande si c'est une bonne idée.**<br>**Je doute fort qu'il en soit capable.**<br>**J'ai des doutes sur sa santé mentale.**<br>**Cette histoire paraît tout à fait invraisemblable.**<br>**Il est apparemment en retard.** |

შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, წელიწადის რომელი დრო მოსწონთ და რატომ? პასუხებს ინიშნავს.

**ბოლოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად სთხოვს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებას.**

*რუსული ენა*

# Ролевые игры на уроках РКИ

მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

Одной из основных задач, стоящих перед современной методикой обучения РКИ, является оптимизация процесса обучения.

Изучение иностранного языка предполагает овладение навыками и умениями практической коммуникативной деятельности, поэтому оптимизация обучения иностранному языку связана прежде всего с активизацией процесса обучения, совершенствованием методов и организационных форм учебной работы, обеспечивающих повышение эффективности деятельности учащихся.

Одним из наиболее часто упоминаемых в методической литературе приемов активизации обучения языкам является ролевая игра, основное назначение которой – моделирование ситуаций общения, создание условий для развития коммуникативных навыков и умений. Ролевая игра является эффективным приемом, способным реализовать модель обучения рече-поведенческим тактикам. Она обладает большими возможностями в практическом, образовательном и воспитательном отношениях и способствует расширению сферы общения.

По мнению психологов, игровая мотивация должна быть представлена в учебном процессе наряду с коммуникативной, познавательной и эстетической мотивациями.

Ролевая игра – это речевая, игровая и учебная деятельность одновременно. При решении игровых задач речевая активность сочетается с мыслительной и эмоциональной: в игре необходимо быстро принять решение, проявить находчивость, смекалку, фантазию, сыграть роль. Во время игры дети находятся в постоянной «речевой готовности», внимательно слушают учителя и друг друга; многократное повторение образцов речи, мотивированное игровым действием, не вызывает у них утомления и скуки. В этих условиях непроизвольное внимание и запоминание обеспечивают хорошее усвоение языкового материала. Игровые ситуации ценны не только тем, что мотивируют употребление изучаемого материала на каждом данном уроке, но и, главным образом, тем, что поддерживают высокую мотивацию изучения иностранного языка. Чтобы роль могла стать средством обучения, она должна отвечать целому ряду требований, учитывающих как учебные задачи, так и индивидуальные особенности, потребности учащихся. Ролевая организация общения требует отношения к учащемуся как к личности с присущими ей особенностями, которая может предпочесть те или иные роли. Именно поэтому распределение ролей является ответственной педагогической задачей. Знание мотивов, интересов, индивидуальных отношений учащихся позволит учителю предложить им те роли, которые в наибольшей мере соответствуют особенностям их личности.

Ролевая игра – это точная модель общения, разыгрывание возможных жизненных ситуаций: в магазине, в больнице, в библиотеке, в школе и т.д. Она раскрепощает ребенка, стимулирует его фантазию, развивает память, внимание, эрудицию, дисциплину, делает ребенка более активным, приучает к коллективным формам работы в группе, классе, пробуждает любознательность.

В условиях игры происходит актуализация как вновь изученного материала, так и знаний, находящихся в пассивном запасе. Так, при моделировании ситуации «продавец – покупатель» учащиеся активно осваивают предложенную им лексику, а также начинают осознанно использовать порядковые и количественные числительные с добавлением правильной формы слов, обозначающих денежные знаки.

Таким образом, мы можем выделить **ряд существенных преимуществ ролевых игр:**

- игра способствует созданию благоприятного психологического климата на уроке;
- усиливает мотивацию и активизирует деятельность учащихся;
- дает возможность использовать имеющиеся знания, опыт, навыки общения в разных ситуациях.

На своих уроках я часто провожу ролевые игры. Хочу поделиться одной из них. Это игра-эстафета. Она не только снимает напряжение, но и развивает внимание и закрепляет лексический материал по теме. Игра представляет собой соревнование между двумя командами. По сигналу ведущего крайние члены команд поочередно бегут к доске и пишут слова по теме «Экскурсия». Выполнив задание, каждый участник возвращается на место, передавая мел, который служит эстафетной палочкой, следующему участнику. Далее делю ребят на пары и прошу каждую пару подготовить небольшое коммуникативное задание.

- *В какой район Грузии вам бы хотелось поехать на экскурсию и почему? В нескольких предложениях расскажите вашему соседу об этом. Представьте вашего соседа аудитории и расскажите, где бы ему хотелось побывать.*

Далее я читаю начало короткой фразы для каждой пары, учащиеся повторяют ее и заканчивают. Цель игры – снятие эмоционального напряжения на уроке, занимательность, хоровое повторение и исправление ошибок, которые могут допустить ученики при выполнении коммуникативного задания, которое учащиеся представили, работая в парах. В рамках темы «Экскурсии по нашей стране» можно предложить учащимся следующую игру: «Застольная беседа». Предлагаем посетить ресторан в том районе Грузии, в котором учащиеся хотели побывать (здесь можно поговорить об особенностях национальной кухни данного региона, об их гостеприимстве). Игру проводим и в группах и в парах. Учитель погружает аудиторию в атмосферу хорошего ресторана или кафе (несколько вводных фраз о том, куда пришли участники, чтобы вкусно поесть и приятно поговорить). Если позволяют технические и творческие возможности можно задействовать слуховой и обонятельный каналы восприятия, для обеспечения погружения можно (фоновая народная музыка, песня с наложенным на нее, скажем, звоном бокалов.) Группа в свободном режиме передвигается по аудитории. По команде администратора, официанта (ведущего): «Столик на двоих!» участники объединяются в пары, представляются друг другу и несколько минут общаются на какую-то тему. Тему, общую для всех пар, задает учитель или выбирают сами ученики. Она может касаться проблематики урока («Как должен вести себя горожанин, приехавший в данный регион?»), и быть связанной с досугом («Где бы я хотел провести каникулы?»). Следующая команда: «Столик на четверых!» – и пары объединяются по две. Пары представляются друг другу, и им дается следующая тема для обсуждения и еще несколько минут, чтобы обменяться мыслями по ее поводу. Затем, если группа большая, администратор, официант рассаживает их за столики для восьмерых. И процедура повторяется еще раз. На заключительном этапе группа возвращается на свои места. Обсуждение может касаться того, что нового и неожиданного узнали участники друг о друге, или того, что общего они нашли с партнером/партнерами за время этих приятных бесед.

Большое значение для того, чтобы ребята не утомились и сохранили работоспособность имеет разрядка. Атмосфера положительных эмоций и переживаний, радости и доброжелательности, сопереживания успеху имеет большое значение при изучении иностранного языка, так как она придает эмоциональную окраску учению, переключает учащегося с его повседневных забот, снимает напряжение, усталость, стимулирует познавательную деятельность обучаемого. Учение, сопровождаемое отрицательными эмоциями, угнетает учащегося и является непродуктивным.

Всем учителям известны такие формы разрядки как: физкультминутка, которая может проходить в сопровождении легко запоминающихся считалок, рифмовок, коротеньких стихотворений, проговариваемых обучаемыми хором; игры; смена вида деятельности; музыкальная пауза и т.д. Разрядка в виде разучивания рифмовок и считалок вызывает положительные эмоции, поднимает настроение, стимулирует мотивацию к изучению русского языка. На начальном этапе обучения для разрядки можно также с успехом использовать считалки – фонетические, лексические и грамматические.

За счет раскрепощения увеличивается объем речевой деятельности учащихся, в то время как роль преподавателя отходит на второй план. Он становится наблюдателем, задачей которого является фиксация допущенных ошибок и их последующий разбор с предоставлением возможности исправления. Являясь хорошим диагностическим полем для преподавателя, игра позволяет в неформальной обстановке при благоприятном стрессовом фоне оценить знания учащихся. Таким образом, игра является полноценной частью учебного процесса, важность которой определяется возможностью стать связующим звеном между процессом обучения и реальным миром.

**Литература:**

1. Арутюнов А.Р., Чеботарев П.Г., Музруков Н.Б. Игровые задания на уроках русского языка: Книга для преподавателя. М.: Русский язык, 1987.
2. Азарина Л.Е. Игры на уроках РКИ / Вестник ЦМО МГУ, 2009, № 3. Практикум.
3. Баласанян М.А., Курдадзе И. Н. Значение ролевых игр в процессе изучения иностранного (русского) языка. / Современные проблемы развития человеческого общества. Сборник материалов VII-ой Международной научно- практической конференции (Одесса, Лондон, 21 – 28 июня 2011 года).
4. Ливингстоун К. Ролевые игры в обучении иностранным языкам. – М.: Высшая школа, 1988.
5. Семенова Т.В., Семенова М.В. Ролевые игры в обучении иностранным языкам. – Иностранные языки в школе. 2005, №1.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# ვისურვებდი, სწორედ ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები იყოს საქართველოს სამომავლო განვითარების ფუნდამენტი და ამოსავალი წერტილი

**რუბრიკის სტუმარია ლერი ხუფენია, მალმეს უნივერსიტეტის სტუდენტი**

**– ლერი, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი და საქართველოში გატარებული სტუდენტური წლები?**

– მივესალმები თქვენს მკითხველს და უღრმეს მადლობას გიხდით, რომ მომეცა თქვენთან საუბრის საშუალება. ჩემი ოჯახი 90-იან წლებში, ასობით ათას ქართველთან ერთად, იძულებით გაასახლეს აფხაზეთიდან, ამგვარად, მე და ჩემი ძმები დავიბადეთ და გავიზარდეთ თბილისში. ვსწავლობდი 51-ე საჯარო სკოლაში, თუმცა ბოლო 4 წელი გავატარე სკოლა-ლიცეუმ „ენკა"-ში, სადაც ნამდვილი პროფესიონალი და დიდებული ადამიანები მასწავლიდნენ. სკოლაში ყოფნის პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რამაც ადრეული ასაკიდანვე შემაჩვია კონკურენტუნარიანობასა და წარმატებისკენ სწრაფვას. ვთვლი, რომ ჩემი კლასი გამორჩეული იყო სკოლაში, რადგან ყოველთვის მეგობრული ატმოსფერო სუფევდა და ბავშვების უმეტესობა გამორჩეული იყო საკუთარი გონებრივი შესაძლებლობებით.

2011 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან პოლიტიკა და ისტორია მიტაცებდა, გადავწყვიტე, რომ სწორედ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მომცემდა სწორად განვითარების საშუალებას. სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული ორი წელიწადი, უაღრესად საინტერესო, პროდუქტიული და დატვირთული იყო. მიმაჩნია, რომ თსუ-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს უძღვებიან საერთაშორისო რანგის პროფესიონალები და ჩემთვის დიდი პატივი და სიამოვნება იყო ამ ადამიანებისგან სწავლა. სწავლის პარალელურად, ახალგაზრდულ აქტივობებში ჩავერთე და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში", ანუ „ელსა"-ში გაწევრიანება, ვინაიდან ამ პერიოდში გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი და შემექმნა საჭირო პირობები, გავმხდარიყავი აქტიური და თავდაჯერებული სტუდენტი. უნივერსიტეტელობის ორი წელი ჩემთვის მუდამ სასიამოვნოდ გასახსენებელი იქნება. მეორე მხრივ, თვალნათლივ დავინახე ის გამოწვევები და სირთულეები, რომლის წინაშე უნივერსიტეტი დღესაც დგას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ათასობით ახალგაზრდის განვითარებას.

**– რა გზა გაიარე საქართველოდან შვედეთის სამეფომდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი მალმე?**

– 2012 წლის მიწურულს, რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტში გამოცხადდა „ერასმუს მუნდუსის" სასწავლო საგრანტო პროგრამა, რომლის მიერ შემოთავაზებული სასწავლებლების ჩამონათვალიდან, ყველაზე მეტად მალმეს უნივერსიტეტმა დამაინტერესა. საბედნიეროდ, რამდენიმე თვეში დადებითი პასუხი მივიღე და ასე აღმოვჩნდი მალმეს უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობისა და გლობალური პოლიტიკის ფაკულტეტის სტუდენტი. ცხადია, ძალიან ბედნიერი ვარ, ასეთი შესაძლებლობა რომ მომეცა. საქართველოში უამრავი ახლად დაფუძნებული სასწავლებელია, რომელიც სტუდენტებს საერთაშორისო დონის განათლებასა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივას ჰპირდება. ჩემი აზრით, უმეტესი სასწავლებლების შემთხვევაში, პირველი პუნქტი მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება, კოლოსალური სემესტრული გადასახადის სანაცვლოდ, ხოლო გარანტირებული სამუშაო ადგილი მხოლოდ ერთეულების პრეროგატივაა. ასეთი მიდგომა უმაღლესი განათლების მიმართ დაუშვებელია და სამწუხაროდ, არ არის გასაკვირი, რომ ქართველი ახალგაზრდები ცდილობენ უკანმოუხედავად დატოვონ ქვეყანა და უცხოეთში გაიკვალონ პროფესიული გზა. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში, მოქნილი საგანმანათლებლო რეფორმა და შესაბამისი რეგულაციები როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში, პოზიტიურად შეცვლის ვითარებას და ახალგაზრდები ღირსეულ პირობებში მიიღებენ განათლებას საკუთარ ქვეყანაში.

**– გვიამბე მალმეს უნივერსიტეტის შესახებ**

– უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სკანდინავიის ქვეყნებმა, მათ შორის შვედეთმა, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკური, სოციალური თუ საგანმანათლებლო კუთხით. ქართველი ახალგაზრდებისთვის კარგადაა ცნობილი ლუნდის უნივერსიტეტი, რომელიც მსოფლიოს 100 საუკეთესო სასწავლებლის რეიტინგში შედის, აგრეთვე სტოკჰოლმის, გიოტებორისა და უპსალას უნივერსიტეტები. თუმცა ვფიქრობ, დროთა განმავლობაში, მალმეს უნივერსიტეტიც აუცილებლად გახდება ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სასწავლებელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი დაარსდა 1998 წელს, სკონეს რეგიონში, ქვეყნის უკიდურეს სამხრეთით. დღეს მიიჩნევა ყველაზე ინოვაციურ და ამბიციურ სასწავლო დაწესებულებად სკანდინავიაში. ძირითადი აქცენტი კეთდება დიპლომატიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ადამიანის უფლებების, ეთნიკური კონფლიქტებისა და მიგრაციის, მედიატექნოლოგიის სწავლებაზე. ამჟამად უნივერსიტეტში 24000 სტუდენტი და 12000-მდე აკადემიური პერსონალი ირიცხება. მომავალ წელს სრულდება დამატებითი სასწავლო კამპუსის მშენებლობა, რომელიც კიდევ რამდენიმე ათას სტუდენტს მიიღებს. პროგრესი და მუდმივი სწრაფვა უკეთესობისკენ ამ სასწავლებლის მთავარი მახასიათებელია, რაც პირდაპირ გადაეცემა თითოეულ სტუდენტს.

ქალაქი მალმე „ორესუნდის ხიდით" უკავშირდება დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენს, ამრიგად მათ შორის სავალი მანძილი, სულ რაღაც, ნახევარი საათია. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დანიიდან სასწავლო პროგრამების, პროფესორების, სტუდენტებისა თუ სხვა აკადემიური კომპონენტების ინტეგრირებას.

მალმეს უნივერსიტეტში სამწლიანი საბაკალავრო, ერთწლიანი სამაგისტრო და ორწლიანი სადოქტორო სწავლებაა. ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს, პოლიტიკისა და დიპლომატიის ფაკულტეტზე, საშუალება აქვთ, პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ერთი სემესტრი მათთვის სასურველ პროგრამაზე ისწავლონ, ხოლო მეორე (მეოთხე) სემესტრი სტაჟირებას ან საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამას დაუთმონ. უნივერსიტეტში უმაღლესი დონის პროფესიონალები ასწავლიან, რაც გამოხატულია, პირველ რიგში, სტუდენტებისადმი დამოკიდებულებაში. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებიან, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, რათა მაქსიმალურად ჯანსაღი და პოზიტიური ატმოსფერო შექმნან სტუდენტებისთვის. საბედნიეროდ, ლექტორებისა და ახლად შეძენილი მეგობრების დახმარებით, მარტივად გადავლახე საადაპტაციო პერიოდი ახალ გარემოში და რამდენიმე თვეში უნივერსიტეტის აკადემიური და სტუდენტური აქტივობების სათავეებთან მოვექეცი. პროფესორები, ყოველი თვის ბოლოს, პირადად მესაუბრებიან ჩემ მიერ ნაჩვენებ პროგრესზე და მაძლევენ რჩევებს, თუ რა კომპონენტზე უნდა გავამახვილო ყურადღება. ცხადია, ასეთი მიდგომა უდიდეს მოტივაციას ქმნის. მალმეს უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე სახლად იქცა, რომელშიც განსხვავებული ნაციონალობის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებთან ერთად, პირველ რიგში, ურთიერთპატივისცემასა და გუნდური მუშაობის მნიშვნელობას ვსწავლობ. შვედეთში ცხოვრება და განათლების მიღება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. 2011 წლამდე, სახელმწიფოში არსებული ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებელი საერთაშორისო სტუდენტებს უფასო პროგრამებს სთავაზობდა, თუმცა, საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, ევროკავშირის მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სწავლა ფასიანი გახდა. სწავლის ღირებულებას, როგორც წესი, უნივერსიტეტები თავად განსაზღვრავენ – აკადემიური წლის ღირებულება 8 000-დან 12000 ევრომდე მერყეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლებლები წარჩინებულ და მძიმე ფინანსური პირობების მქონე სტუდენტებს სტიპენდიასა და სრულ დაფინანსებას სთავაზობენ, გარდა ამისა, ყოველწლიურად, გაიცემა „Swedish Institute"-ის სტიპენდიები სხვადასხვა კატეგორიის საერთაშორისო სტუდენტებზე.

**– რამ განაპირობა არჩევანი და რამდენად წარმატებული სტუდენტი ხარ? როგორც ვიცი, ამჟამად სტაჟირებას გადიხარ საქართველოს საელჩოში შვედეთის სამეფოსა და ფინეთში. გვიამბე შენი უფლება-მოვალეობების შესახებ**

– როგორც აღვნიშნე, „ევროპისმცოდნეობისა და გლობალური პოლიტიკის" ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. წარმატებით გავიარე სასწავლო პერიოდის პირველი ნახევარი და ამჟამად სტაჟირებას გავდივარ საქართველოს საელჩოში შვედეთის სამეფოსა და ფინეთში. სტაჟირება დავიწყე 2015 წლის იანვრის ბოლოდან. საელჩოს ბატონი **კონსტანტინე ქავთარაძე** ხელმძღვანელობს; მისი უშუალო სურვილითა და მხარდაჭერით მოვახერხე ამ პოზიციაზე მოხვედრა. ჩემი ძირითადი საქმიანობა უცხოენოვანი ინფორმაციის დამუშავება და ანალიტიკა, შვედეთის საგარეო პოლიტიკაზე ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი ბაზის შექმნაა. ამჟამად ქართულ-შვედური დიპლომატიური ურთიერთობების არქივზე დავიწყე მუშაობა და 1920-იანი წლებით დათარიღებულ დოკუმენტებს ვაანალიზებ. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდგომ, უნივერსიტეტი შესაბამისი რაოდენობის სასწავლო კრედიტებს მომანიჭებს. გასული წლის მიწურულს, დავწერე მცირე სადიპლომო თეზისი ევროკავშირის „რბილი ძალის" პოლიტიკის შესახებ, სადაც ფოკუსში საქართველო მოვაქციე. მუშაობის პროცესში აღმოვაჩინე, რომ მალმეს უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის შემსწავლელი დეპარტამენტი არსებობს. დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ხელმძღვანელობას და ასე გავიცანი პროფესორი **რევაზ ჭანტურია**, რომელიც მეუღლესთან, პროფესორ **კარინა ვამლინგთან** ერთად, უძღვება კავკასიოლოგიის სწავლებას. აღნიშნული კურსი საინტერესოა იმითაც, რომ სტუდენტებს დისტანციური სწავლების საშუალებას აძლევს და შედეგად, კურსზე სტენფორდის, გლაზგოს, პრაღისა და სხვა პრესტიჟული უნივერსიტეტების სტუდენტები ირიცხებიან.

დიპლომატიისა და პოლიტიკის შესწავლა სკოლის ასაკიდანვე სრულიად დამოუკიდებლად მქონდა გადაწყვეტილი. მახსოვს, მოსწავლეობის პერიოდში, გარდა კლასიკური ლიტერატურისა, რეგულარულად ვკითხულობდი სხვადასხვა ქართულ თუ უცხოენოვან პოლიტმიმომხილველების სტატიებს და შემდგომ, ვცდილობდი, აქტუალურ საკითხებთან მიმართებაში, საკუთარი პოზიცია ჩამომეყალიბებინა. 13-15 წლის ასაკში, ფსიქოლოგ **ნანა ჩაჩუას** მოწაფე გავხდი, რომელიც კრიტიკულ აზროვნებასა და ლიტერატურაში მამზადებდა. ვფიქრობ, ქალბატონმა ნანამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩემს მენტალურ ჩამოყალიბებაზე და სწორედ მისგან მივიღე სამომავლო გეზი. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მრავალი მაღალი რანგის ქართველი დიპლომატი მოღვაწეობს, რომელთაგან ბევრს ვსწავლობ, თუმცა მჯერა, რომ ჩემი თაობის წარმომადგენლები უფრო პროდუქტიულები იქნებიან ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

**– მალმეს უნივერსიტეტში ალბათ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.**

– ქალაქ მალმეში 300 000-მდე მაცხოვრებელია, რომლის დაახლოებით 20%-ს სტუდენტები შეადგენენ. მალმეს უნივერსიტეტი ძალზე ახალგაზრდაა და, სულ რაღაც, 16 წლის ისტორიას ითვლის. ქალაქის ეკონომიკურ ცენტრად ქცევა და საუნივერსიტეტო ბაზის დაფუძნება 20-25 წლის წინ გადაწყდა, თუმცა ამ მცირე დროში აქ რამდენიმე ათეულმა ცნობილმა ადამიანმა გაიარა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკა. ისინი, დღეს, აქტიურად არიან ჩართული შიდა პოლიტიკურ პროცესებსა თუ კულტურულ საქმიანობაში. ქალაქ მალმეს ყველაზე ცნობილი და გამორჩეული ფიგურა ფეხბურთელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, რომელიც, ამავდროულად, ეროვნული ნაკრების კაპიტანიცაა. ხშირად ვსტუმრობ მის მშობლიურ რაიონს და პირადად ვესაუბრები მის ნაცნობებს; აგრეთვე ცნობილი მალმოელია **პიერ ალბინ ჰანსენი**, რომელიც აქ დაიბადა და 40-იან წლებში შვედეთის პრემიერ-მინისტრი იყო; ხოლო თანამედროვეობაში **მაიკლ დამბერგს** გამოვყოფდი, რომელიც შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ლიდერი და მალმეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი უდიდესი მხარდამჭერია. დარწმუნებული ვარ, ამ სასწავლებელს, მომავალში გაცილებით მეტი ცნობილი და ღირსეული კურსდამთავრებული ეყოლება, მსოფლიო მასშტაბით.

**– გვიამბე სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ, რა პირობებს სთავაზობს მალმეს უნივერსიტეტი მოტივირებულ სტუდენტებს განვითარებისთვის?**

– მალმეს უნივერსიტეტი ნამდვილად გამორჩეულია მოწვეული ლექტორებისა და გაცვლითი პროგრამების სიმრავლით. დღეისათვის მალმეს, დაახლოებით, 240 პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს, საიდანაც ყოველწლიურად ჩამოდიან სტუდენტები და პროფესორები. გარდა ამისა, საჯარო ლექციების ორგანიზებაში დიდ როლს თამაშობს უნივერსიტეტში დაფუძნებული სტუდენტური გაერთიანება „UF Malmo", ანუ დიპლომატ სტუდენტთა ასოციაცია მალმეში. 2013-2014 სასწავლო წლებში, აღნიშნული ორგანიზაციის გამგეობის წევრი და სოციალური აქტივობების ხელმძღვანელი ვიყავი, რაც პირდაპირ მავალდებულებდა სხვადასხვა ლექტორებისა და ცნობილი ადამიანების მოწვევას. ჩემი გუნდის დახმარებით, უნივერსიტეტში საჯარო ლექციები გამართეს: შვედეთის საგარეო მინისტრმა **კარლ ბილდტმა**, ნორვეგიელმა სოციოლოგმა და კონფლიქტების შემსწავლელი მეცნიერებების დამფუძნებელმა, დოქტორ **იოჰან გალთუნგმა**, უპსალას უნივერსიტეტის პროფესორმა **იოაკიმ კროითზმა**, დერბის უნივერსიტეტის პროფესორმა **კრისტინ ონემ**, შვედეთის მოდე-

## ქართველი სტუდენტები უცხოეთში

რატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **ანა კინბერგმა** და სხვ. რამდენიმე დღის წინ, ორგანიზაციის გამგეობამ გადაწყვიტა 15-კაციანი ჯგუფის თბილისში გაგზავნა. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, ისინი ქართველ სტუდენტებს შეხვდებიან და გაეცნობიან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. მოხარული ვარ, რომ სასწავლო ვიზიტს საკუთარ ქვეყანაში ვუხელმძღვანელებ. გარდა ამისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას. გასული წლის ნოემბერში, მქონდა პატივი, ვყოფილიყავი სტოკჰოლმში გამართული გაეროს ახალგაზრდული ასამბლეის წევრი, სადაც, შვედეთის 27 უმაღლეს სასწავლებელს შორის, მალმეს უნივერსიტეტი წარვადგინე. ამ ღონისძიების ფარგლებში, დავესწარი შვედეთის სამეფოში აშშ-ს ელჩის **მარკ ბრზეზინსკის**, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელის **ასტრიდ სოდერბერგ ვიდინგისა** და სხვების ლექციებს. მოგვიანებით, მსგავსი პროექტით, გერმანიის ქალაქ დრეზდენში გავემგზავრე, სადაც საქართველოს ინტერესებს ვიცავდი და მქონდა პატივი შევხვედროდი გერმანიის ელჩს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, **ჰარალდ ბრაუნს** და საქსონიის პარლამენტის თავმჯდომარეს **მატიას**. შემდეგ ქემბრიჯის უნივერსიტეტი იყო, სადაც აგრეთვე ბევრ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეს შევხვდი. მალმეს უნივერსიტეტი ყველა პირობას ქმნის მოტივირებული სტუდენტის განვითარებისთვის, რაც გამოიხატება არა მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო იდილიით, არამედ რეგულარული გაცვლითი პროგრამებითა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესონალებისგან გამოცდილების გაზიარებით.

**– რა როლი უჭირავს შვედეთში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?**

– ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რაოდენ მნიშვნელოვანია ევროპული უმაღლესი სასწავლებლებისთვის ბიბლიოთეკების და მაღალი სტანდარტების შესაბამისად გამართვის საკითხი. ამ კუთხით, შვედეთში არსებული სასწავლებლები სამაგალითოა, რადგან თითოეული მათგანი შიდა ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ბიბლიოთეკების მოდერნიზებასა და მათ კეთილმოწყობას ახმარს. მალმეს უნივერსიტეტი, მთლიანობაში, 8 სასწავლო ნაგებობას მოიცავს და თითოეულ მათგანში მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ბიბლიოთეკას და კვლევით სივრცეს ეთმობა. ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა 5 სართულისგან შედგება და გამორჩეულია საკუთარი მოდერნიზებული სტილით. საერთო ჯამში, აქ განთავსებულია, დაახლოებით, 1200-მდე კომპიუტერი, რამდენიმე ასეული უზარმაზარი თარო სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლიტერატურით, საბეჭდი მანქანები და დამატებითი ტექნიკა, რაც შეიძლება სტუდენტს მუშაობის პროცესში დასჭირდეს. ერთი სართული მთლიანად ეთმობა „წყნარ სივრცეს“, სადაც მშვიდად შეძლებთ მუშაობას და პრივატულ ოთახებს, რომელთა დაჯავშნის შემთხვევაში, შეგიძლიათ რამდენიმე დღე გაატაროთ საკუთარი კომპიუტერისა და კუთხეში დამონტაჟებული ყავის აპარატის გარემოცვაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფინალური გამოცდების პერიოდში ასეთ ოთახში გამითენებია ღამეები. ბიბლიოთეკაში შექმნილი სამუშაო ატმოსფერო პოზიტიურ მუხტს ქმნის თითოეული სტუდენტისთვის და ცხადია, ამ ყველაფერში უმთავრეს როლს უნივერსიტეტის გამართული და ორგანიზებული მუშაობა ასრულებს. მათ კარგად ესმით, რომ შეუძლებელია დისკომფორტის პირობებში და ღირსების შეგრძნების გარეშე, აღზარდო ძლიერი თაობა.

**– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?**

– საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების ავკარგიანობა და მათი შედარება ევროპულ სტანდარტებთან ის თემაა, რომელზეც უსასრულოდ შეიძლება მსჯელობა. შევეცდები, ვისაუბრო ევროპული სასწავლებლების ნარმატების მთავარ ფაქტორებზე, რომელთა ინტეგრირება ჩვენს ქვეყანაში ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ევროკავშირის ქვეყნებში განათლება თითოეული მოქალაქის გარანტირებული უფლებაა და სახელმწიფო, თავის მხრივ, ამას უზრუნველყოფს უფასო ან შეღავათიანი სასწავლო პროგრამებითა და სტიპენდიებით. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს, საბავშვო ბაღიდან უმაღლეს საფეხურამდე, მოქალაქეთა ნორმალიზებულ სასწავლო პროცესს და, ფაქტობრივად, არ არსებობს ფინანსური, სოციალური თუ სხვა ბარიერი, რომელიც ახალგაზრდას შეუზღუდავს ან წაართმევს სწავლის უფლებას. მაგალითად, ფინეთში დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისთვის, გარდა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა, აუცილებელი მოთხოვნაა დოქტორის ხარისხის ფლობა და ზოგჯერ – ფსიქოლოგიის საფუძვლებში კურსების გავლაც. სკანდინავიაში, სკოლის მოსწავლეებს მაღალ კლასებამდე ნიშნებით არ აფასებენ, ვინაიდან უპირატესობას მათ მიერ ნაჩვენებ პროგრესზე საუბარს და პირად რჩევებს ანიჭებენ. დამამთავრებელი კლასის მოსწავლემ კარგად იცის, რომ მას აქვს არჩევანის თავისუფლება უნივერსიტეტში ჩაბარებას, პროფესიულ სასწავლებელში საქმიანობასა თუ სხვა სფეროში მოღვაწეობას შორის. მიღებული გადაწყვეტილება კი პროფესიონალად ჩამოყალიბების პერსპექტივას შეუნარჩუნებს. ისინი პრაქტიკაში ამართლებენ ჩვენთვის ცნობილ გამონათქვამს, რომ ადამიანი სიბერემდე სწავლობს და მართლაც, ევროპელი ახალგაზრდები სრულიად დამოუკიდებელნი არიან დროის მენჯმენტსა და პროფესიულ არჩევანში. მჯერა, რომ ევროპულ პოლიტიკურ სისტემასთან მიახლოება, უმთავრესად, მოითხოვს ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებასა და სახელმწიფო მიდგომის შეცვლას. პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება მშვიდობიან განვითარებასა და დემოკრატიული ინსტიტუციების შენებაზე. განათლება სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს, რათა კონკურენტუნარიანი და კრიტიკულად მოაზროვნე თაობა აღიზარდოს. სწავლისადმი ევროპელების მიდგომას, კარგად აღწერს ვიქტორ ჰიუგოს გამონათქვამი – „ის, ვინც აღებს სასწავლებლის კარს, ხურავს ციხისას“. სკანდინავიის ქვეყნების შემთხვევაშიც, მაღალი დონის საგანმანათლებლო სივრცეების შექმნამ უდიდესი როლი ითამაშა ამ ქვეყნებში კრიმინალის მინიმუმამდე დაყვანაში, ეკონომიკის აყვავებაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა სოლიდარული თანაცხოვრების ჩამოყალიბებაში. ვისურვებდი, რომ სწორედ ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობები იყოს საქართველოს სამომავლო განვითარების ფუნდამენტი და ამოსავალი წერტილი.

**– გაქვს თუ არა, სწავლის პარალელურად, მუშაობის შესაძლებლობა?**

– ევროპელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი, სწავლის პარალელურად, მუშაობს და ადრეული ასაკიდანვე ეჩვევა დამოუკიდებელ შრომას. შვედეთის მთავრობას შემუშავებული აქვს ახალგაზრდების დასაქმების სტრატეგია, რომელიც ნიჭიერ სტუდენტებს სანახევრო განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობას აძლევს და მნიშვნელოვნად ამცირებს უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვს, რაც დღეისათვის ევროკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. „ერასმუს მუნდუსის“ საგრანტო ხელშეკრულებით, არ მაქვს უფლება, ვიმუშაო ანაზღაურებით და, ამავდროულად, ვალდებული ვარ, ვაჩვენო მაღალი აკადემიური მოსწრება. აქედან გამომდინარე, უმეტესწილად, სწავლაზე ვარ ორიენტირებული. ამჟამად სტაჟირებას გავდივარ საქართველოს საელჩოში და მნიშვნელოვან პროფესიულ გამოცდილებას ვიღებ. ჩართული ვარ სამეცნიერო კვლევით პროცესებში პროფესორებთან ერთად და ვხელმძღვანელობ ადგილობრივი სტუდენტური გაერთიანების ერთ-ერთ დეპარტამენტს. აქტიურად ვმონაწილეობ საზღვარგარეთ ორგანიზებულ სასწავლო აქტივობებსა და სემინარებში, მსოფლიოს მასშტაბით შევიძინე მეგობრები, კოლეგები და თანამოაზრეები.

**– როგორია შვედური სტუდენტური ცხოვრება, სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორ ცხოვრობენ შვედი ახალგაზრდები?**

– „ერასმუს მუნდუსის“ პროგრამით, ჩემთან ერთად, რამდენიმე ქართველი სტუდენტი ჩამოვიდა. მათთან ახლო მეგობრობა მაკავშირებს და, ძირითადად, თავისუფალ დროს ერთად ვატარებთ. მალმე ინტერკულტურალური ქალაქია. აქ მარტივად იპოვით ყველა გემოვნებისთვის შესაფერის კაფეებარს, რესტორანს, მუზეუმს. თუ აქტიური ცხოვრების სტილს ირჩევთ, შეგიძლიათ ესტუმროდ საოცრად მოვლილ სკვერებსა და სავარჯიშო მოედნებს ღია ცის ქვეშ. შვედები ჯანსაღი, დისციპლინირებული და საქმიანი ხალხია. ყოველი სამუშაო დილა 6 საათზე იწყება, რაც საუკეთესო მიდგომაა მონესრიგებული შრომისთვის. მათი უმეტესობა ვეგეტარიანელია და მკაცრად იცავს სხვადასხვა კვებით დიეტას, რადგან სჯერათ, რომ სხეულის სიჯანსაღე პირდაპირ კავშირშია ადამიანის შრომისუნარიანობასთან.

მეც ვცდილობ, მაქსიმალურად გავითავისო მათი ცხოვრების წესი და ყოველი დღე სწორი კომპონენტებისგან დავგეგმო. ვირიცხები უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდში და, პერიოდულად, ვსტუმრობ სპორტდარბაზსაც. მალმეში სამუშაო დღეები მშვიდად და ერთფეროვნად მიმდინარეობს, რაც ხანდახან მოსაწყენიც ხდება, განსაკუთრებით შვედური ზამთრის პირობებში, თუმცა პარასკევსა და შაბათს მიღებული განტვირთვა სრულად ანაზღაურებს მძიმე სამუშაო კვირას. მეც, ისევე როგორც დანარჩენი შვედი თუ სხვა ეროვნების ახალგაზრდები, ვსტუმრობ პაბებს, ვპატიჟებ მეგობრებს ჩემს საცხოვრებელში და ვაწყობ მცირე წვეულებებს. ევროპაში სტუდენტური ცხოვრება ზომიერად დატვირთული, მრავალფეროვანი და საინტერესოა.

**– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– წელიწადნახევარზე ნაკლები მაშორებს ბაკალავრის ხარისხის მოპოვებას. დიდი სურვილი მაქვს, რამდენიმე წელი კვლავ საზღვარგარეთ განვაგრძო სწავლა მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თუმცა, დღეისათვის, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში და დავმკვიდრდები, როგორც პროფესიონალი. ცხადია, უცხოეთში განათლება მიღებული და სამუშაო გამოცდილების მქონე კადრი მზად არის დააკმაყოფილოს ქართული შრომის ბაზარზე არსებული სტანდარტები. ასეთი ადამიანებისთვის უნდა შეიქმნას კომფორტული გარემო, რათა საზღვარგარეთ მოღვაწეობას სამშობლოში საქმიანობა არჩიონ. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც სამუშაო ადგილებს ევროპიდან მოწვეული ქართველი თუ უცხოელი არაკვალიფიცური კადრებით ავსებენ, რაც საზიანოა ადგილობრივი პროფესიონალებისთვის. ამგვარმა ქაოტურმა მიდგომამ და დამსაქმებელი კომპანიების არასწორმა HR სტრატეგიამ, დროთა განმავლობაში, ჩამოაყალიბა სტერეოტიპული შეხედულება, რომლის თანახმად, დასაქმების ბაზარზე საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტები პრივილეგირებულ ფენად განიხილებიან. ცხადია, მისასალმებელია ის, რომ მცირერიცხოვან ერში ბევრი საზღვარგარეთ ნასწავლი პროფესიონალია, თუმცა ეს ფაქტი არ უნდა აკნინებდეს ადგილობრივი სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობას და არ უნდა არღვევდეს თანაბარი კონკურენციის პრინციპს. პროტექცია და მიკერძოებულობა ვერ იქნება თავისუფალი საზოგადოებისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. უცხოეთში გამგზავრების სურვილი არ უნდა ვაქციოთ ინტელექტუალური მარაგის გადინების პრობლემად, რომელიც მწვავედ შეეხო ევროკავშირის ქვეყნებს (ესპანეთს, საბერძნეთს და ა.შ.), ამიტომ საჭიროა ვებრძოლოთ განათლების სფეროში არსებული პრობლემების გამომწვევ მიზეზებს და არა შედეგს.

ჩემთვის სასიხარულოა, როდესაც ვხედავ უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საკუთარი ქვეყნისთვის ათასობით კილომეტრის მოშორებითაც წარმატებით იღვწიან. მაგალითად, გასულ ზაფხულს, სტაჟირება გავიარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტში, პროექტ „თანამემამულეს“ ფარგლებში, რომლის ორგანიზება ბრიტანეთში მოღვაწე სტუდენტმა **ნინო შარაშიძემ**, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანადგომით, მოახერხა. ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობით იქნება შესაძლებელი. ერთი მხრივ, სახელმწიფომ უნდა იტვირთოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და ახალგაზრდებს შესაბამისი სასწავლო და სამუშაო პირობები შეუქმნას, ხოლო სტუდენტებმა „იდეების გენერატორის“ როლი უნდა შეასრულონ და პროტესტის მდგომარეობა პარტნიორობით ჩაანაცვლონ. დიდი სურვილი მაქვს, უახლოეს მომავალში, მაქსიმალურად მეტ ქართველ ახალგაზრდას შევხვდე, მოვისმინო მათი აზრი და გავუზიარო საკუთარი შეხედულებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.

**– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.**

– ნებისმიერი ევროპული თუ ამერიკული სასწავლებელი, მათ შორის ყველაზე ელიტარულიც კი, ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეულ კვოტას ნიჭიერი ახალგაზრდების მისაღებად. მათ უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტიპის სტიპენდიებითა თუ მოქნილი გადახდის სისტემებით. ვფიქრობ, ახალგაზრდა ადამიანმა სასკოლო ასაკიდან უნდა დაიწყოს უცხოურ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისთვის მზადება და წინასწარ აირჩიოს დაფინანსების წყაროც. ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებული არიან შვედეთში განათლების მიღებით, ვურჩევ ეწვიონ „Swedish Institute“-ის ვებგვერდს: https://eng.si.se/, სადაც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ სტიპენდიის ოდენობის, კონკურსის პირობებისა და უნივერსიტეტში მისაღები დოკუმენტაციის შესახებ. თითოეულ ახალგაზრდას ვუსურვებ წარმატებას და წინსვლას საკუთარი ქვეყნის სასიკეთოდ.

**– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა მოგცა ევროპამ, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?**

– ჩემ შემთხვევაში, განშორებამ და დისტანციამ განსაკუთრებული სიყვარულისა და მონატრების გრძნობა გამიღვივა საკუთარი ოჯახის, მეგობრებისა და ყოველდღიური ქართული ყოფის მიმართ. მრავალ უცხოელ კოლეგასა თუ პროფესორს ვესაუბრები საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ვიღებ მათგან რჩევებს და ვუზიარებ საკუთარ შეხედულებას სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ ათწლეულში განვლილი გზის შესახებ. შვედეთში გატარებულმა წელიწადნახევარმა დამანახა, რომ სამშობლოს სიყვარული არც დროით იზომება და არც მანძილით, არამედ საქმით. ვფიქრობ, კითხვაზე, რა არის ევროპა და რა წარმოადგენს ევროკავშირის ნარმატების საიდუმლოს, ყველაზე ძლიერი ევროპისმცოდნეც ვერ მოგცემთ ამომწურავ პასუხს, თუმცა უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო იმ დადებით მუხტზე და გამოცდილებაზე, რომელიც აქ ყოფნისას სულ მოკლე დროში მივიღე. შესაძლებლობა მქონდა, პირადად მესაუბრა ერთიანი ევროპის იდეის მხარდამჭერებთან და, მეორე მხრივ, ევროსკეპტიკოსებთანაც. საკუთარი თვალით ვიხილე ადამიანური სისუსტეები, რომელიც ამ ზღაპრულ კონტინენტს და სახელმწიფოთა პოლიტიკურ კავშირს ახასიათებს, მაგრამ ყოველგვარი გარემოებებისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ისინი კვლავინდებურად თავისუფალ, ამაყ და სოლიდარულ საზოგადოებად რჩებიან. ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა ისტორიული არჩევანი ევროპის სასარგებლოდ, რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ სახელმწიფო მმართველსა თუ პოლიტიკურ პარტიას, არამედ მთლიანად ქართველ ერს. სწორედ ქართველი ერის და გამორჩეულად კი ახალგაზრდების ხელშია გასაღები ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გეოგრაფიული და საგანმანათლებლო კეთილდღეობისკენ, რომლის პერსპექტივასაც გვთავაზობს ევროკავშირის ღირსეული წევრობა. ცხადია, ჩვენ უნდა შევცვალოთ არსებული მიდგომა გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში და დავიბრუნოთ ჭეშმარიტი ქართული ფასეულობები, ვინაიდან ტოლერანტობა, კეთილმეზობლობა, ერთიანი სულისკვეთება და ტრადიციების პატივისცემა საქართველოს ისტორიული თვისებებია, რომელიც განსაკუთრებით ხელჰყვეს და დაამახინჯეს გასულ საუკუნეში.

საუბრის დასასრულს, კიდევ ერთხელ მინდა გადაგიხადოთ უღრმესი მადლობა ინტერვიუსთვის და იმ სასიკეთო საქმისთვის, რომელსაც გაზეთი „ახალი განათლება“ უცხოეთში მყოფი ქართველი ახალგაზრდების დაფასებით ეწევა. გისურვებთ ბევრ წარმატებულ და საინტერესო რესპოდენტსა და მკითხველს!

**ესაუბრა**
**მაკა ყიფიანი**

# წიგნიერების განვითარება – სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების საწინდარი

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნიერებაა, რომლის განვითარების ხელშეწყობა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო პროცესში.

რა არის წიგნიერება და როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მის განვითარებას, რომ სწავლის დონე მაღალი იყოს სკოლაში? წიგნიერება, ჩემი აზრით, თვალსაწიერია, თვალსაწიერის მასშტაბები მრავალმხრივ ცოდნაზეა დამოკიდებული, მრავალმხრივი ცოდნის საფუძველი კი შეძენილი ინფორმაციის მრავალფეროვნებაა. მრავალფეროვან ინფორმაციას მრავალფეროვანი წყარო სჭირდება, ცოდნის მიღებას – ინტელექტი, რომელიც, თავის მხრივ, მრავალფეროვან უნარებს მოიცავს. ინტელექტის განვითარება სკოლაში სწავლების მრავალფეროვანი ხერხებითა და მეთოდებით უნდა მოხდეს.

წიგნიერება სკოლიდან იწყება, როცა მოსწავლე ანბანის სწავლას და კითხვას იწყებს. დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის უნარის განვითარებას და განსაკუთრებით – აქტიურ კითხვას, რადგან აქტიური კითხვა მრავალფეროვანი და ინტენსიური ცოდნის მიღების გარანტიაა. მრავალფეროვანი ინფორმაციის გაგების შემდეგ მოსწავლე ადვილად გაერკვევა გარემოში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებში, თუკი გაგების უნარს შეიძენს, მიღებული ინფორმაციის გამოყენებასაც შეძლებს. ეს უნარ-ჩვევა, ბუნების მოვლენების ახსნის დროს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებას გაუადვილებს, ანუ მოსწავლეს ანალიზის უნარი განუვითარდება, რაც დაგროვილი ინფორმაციის ორგანიზების და დასკვნის გამოტანის საშუალებას მისცემს – ეს ყველაფერი მოსწავლის თვითრეალიზაციას უწყობს ხელს სასწავლო პროცესის განმავლობაში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წიგნიერება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გარემოს მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციისათვის.

წიგნიერების განვითარება სკოლაში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია აქცენტის გადატანა ინტეგრირებულ გაკვეთილებზე, რადგან საგანთა შორის კავშირის დამყარება ხელს უწყობს წიგნიერების განვითარებას.

პირველ რიგში, მასწავლებელი თვითონ აქტიური მკითხველი და ყველა იმ უნარის მატარებელი უნდა იყოს, რაც წიგნიერებას განაპირობებს.

წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის, გაკვეთილის დაგეგმვის დროს, მასწავლებელმა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უნდა შეძლოს. ერთ-ერთ ასეთ მეთოდათ მიმაჩნია გაკვეთილის დაგეგმვა ისტორიის მოყოლით, რომელიც ეფუძნება, სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის გამოყენებით, მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, მათი ინტერესის პროვოცირებას. ეს მეთოდი განვახორციელე, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებელთან ერთად, ინტეგრირებულად. ინტეგრირებული გაკვეთილი მეტი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა სხვადასხვა საგნების მიხედვით, ინტეგრაცია ხომ ინფორმაციის მრავალფეროვნებას მოიცავს.

გაკვეთილის თემად ავირჩიე „დედამიწის ბიოგრაფია“. აღნიშნული თემა საშუალებას იძლევა, დედამიწაზე, გეოლოგიური დროის მიხედვით, დედამიწის წარმოშობიდან დღემდე, მიმდინარე პროცესები და მოვლენები ავხსნათ გეოგრაფიულად, ფიზიკურად, ქიმიურად, ანუ გეოგრაფიულ-ბიოლოგიურ-ქიმიურ-ფიზიკური პროცესები კომპლექსურად წარმოვაჩინოთ.

თვითონ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაკვეთილზე, სახელმძღვანელოსთან ერთად, ვიყენებ დამხმარე ლიტერატურას, კერძოდ, სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურას, რომელიც ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკაშია დაცული და ხელმისაწვდომი, ეს არის „მოგზაურობა დედამიწის წარსულში“.

მოსწავლეები მასწავლებლისაგან იგებენ, დედამიწის წარმოშობიდან დღემდე განვლილ პერიოდში როგორ იცვლებოდა გეოგრაფიული გარსი დროსა და სივრცეში, ხოლო პარტნიორი მასწავლებლები მონაცვლეობით ხსნიან – რა ფიზიკურ-ქიმიური პროცესები მიმდინარეობდა და როგორ იცვლებოდა ლითოსფერო, ჰიდროსფერო და ბიოსფერო, რა ხდებოდა მილიონი წლების წინ დედამიწის შიგნით და ზედაპირზე, როგორ და რა ქიმიური პროცესების შედეგად წარმოიშვა მღვიმეები, სტალაქტიდები, სტალაგმიტები.

აღნიშნული მეთოდის გარდა, წიგნიერების განვითარებისათვის, ხშირად ვიყენებ როლურ თამაშს. ამ შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, ვანაწილებ როლებს, მაგალითად, გაკვეთილის თემაა „გეოგრაფიული კოორდინატები“. მოსწავლეებს წინასწარ დარიგებული აქვთ როლები. თითოეულ მოსწავლეს, გეოგრაფიული კოორდინატის მიხედვით, თავისი სახელი ჰქვია. სკოლის ეზოში, მოედანზე, დახაზულია დედამიწის მოდელი თავისი კოორდინატთა სისტემით. თითოეულმა მოსწავლემ, იმის მიხედვით, თუ რომელ გეოგრაფიულ კოორდინატს განასახიერებს, თავისი ადგილი უნდა მოძებნოს. როლური თამაში ეფექტური გამოვა, თუ ისევ ინტეგრირებულად, უცხო ენისა და ისტორიის მასწავლებლებთან ერთად, დაიგეგმება. თითოეულ მოსწავლეს, იმ გეოგრაფიული ობიექტის შესახებ, რომლის ადგილსაც დაიკავებს სიმბოლურად გამოსახულ დედამიწაზე, ახალი და მეტი ინფორმაციის მოძიების და მიღების შესაძლებლობა ექნება, რითაც კიდევ უფრო გაიმრავალფეროვნებს ცოდნას და აიმაღლებს ინტელექტს. ამ თამაშის შემდეგ საგანმანათლებლო რესურსის – გეოგრაფიულ კოორდინატებზე კომპიუტერული თამაშის – შექმნის იდეა დამებადა, რაც დახვეწის პროცესშია და მალე გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში. წიგნიერების ერთ-ერთი კომპონენტი ენების ცოდნაცაა.

როლური თამაში საშუალებას იძლევა შემოქმედებითად მიუდგე გაკვეთილის დაგეგმვას, ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ საკითხების ღრმა წვდომას, ემოციურ დონეზე გათავისებას და, რაც მთავარია, ინფორმაციის უკეთ გააზრებას, შესისხლხორცებას და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვას, დამხმარე სახელმძღვანელოებში ინფორმაციის მოძიებას როგორც ინტერნეტით, ასევე სკოლის ბიბლიოთეკაში. ეს ყველაფერი ისევ და ისევ წიგნიერების საწინდარია.

აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით სახალისოა საბაზო საფეხურზე. საშუალო საფეხურის მოსწავლეს უკვე შეგნებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად ინფორმაციის მრავალფეროვნება, ამიტომ მას დამატებითი მასტიმულირებელი პირობები სჭირდება, საკუთარი თავის წარმოჩენის შესაძლებლობა უნდა მივცეთ. მათ უკვე იციან, რომ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელო ამ მრავალფეროვნებას ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ, საშუალო საფეხურზე დისკუსიის მეთოდის გამოყენება სჯობს, რომლის დროსაც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის წარმოჩენის, თვითშეფასების, თვითრეალიზაციის საშუალება ეძლევა, რაც წიგნიერების განვითარების წინაპირობაა.

ზემოთ განხილული მეთოდების შედეგად, მოსწავლე აქტიური მკითხველი გახდება, რაც იმის საფუძველია, რომ აღარ იქნება დამოკიდებული სახელმძღვანელოზე, შეიძენს ახალი და მეტი ინფორმაციის მოპოვების ჩვევას, რაც წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლემ, სკოლის პერიოდში, ისეთი ცოდნა და განათლება მიიღოს, რომლის საშუალებითაც მეცნიერულად ახსნის გარემოში მიმდინარე მოვლენებს და გამოიმუშავებს სწორ დამოკიდებულებას გეოგრაფიული გარემოს მიმართ, შეიძენს პრობლების დანახვისა და მისი გადაჭრის გზების მოძებნის უნარს, კარგად გაიაზრებს ეკოლოგიურ თუ სხვა სახის პრობლემებს.

წიგნიერი მოსწავლე უფრო ინტელექტუალურია, მისაბაძია თანატოლებისთვის, აქტიურადაა ჩაბმული სასწავლო პროცესში და თანამშრომლობს პედაგოგებთან, შეუძლია სკოლის საკითხების განხილვაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის გამოთქმა. წიგნიერ მოსწავლეებს შინაგანი მოტივაცია უვითარდებათ, შეძენილი უნარ-ჩვევები მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

წიგნიერების განვითარებას ხელშეწყობა და შესაბამისი სასკოლო გარემო სჭირდება, რომლის მოწყობაზე სკოლის ყველა თანამშრომელმა უნდა იზრუნოს, ეს მათი ვალდებულებაა. პირველ რიგში, სკოლის ბიბლიოთეკა უნდა იყოს ტექნიკურად აღჭურვილი და მუდმივად განახლებადი. ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპიუტერული ტექნიკა.

საკლასო ოთახში აუცილებლად გამოყოფილი უნდა იყოს ბიბლიოთეკის ზონა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, რადგან მოსწავლეებმა წიგნი, როგორც ცოდნის მიღების საშუალება, თავიდანვე შეისისხლხორცონ და გაიაზრონ მისი მნიშვნელობა. აქ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეეძლება სასურველი მასალის მოძიება, იქნება ეს ინფორმაცია ტექსტის სახით თუ რუკის, სქემების, სურათების ან დიაგრამების სახით. კარგია, თუ საკლასო ოთახში კომპიუტერიც იქნება. რაც მთავარია, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობელთა ჩართვა სასკოლო ღონისძიებებში, რათა მათთან ერთად, მათი დახმარებით, გახდეს შესაძლებელი მოსწავლეების წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

**მარინე დეკანოიძე**
*ჭიათურის მუნიციპალიტეტის ზოდის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი*

**ინფორმაცია**

# სოფელ ხაიშში სკოლის რეაბილიტაცია და აღჭურვა დასრულდა

საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, სამინისტროს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლაში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და, 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლას 25 კომპიუტერი გადასცა.

სოფელ ხაიშში გასული საუკუნის 90-იან წლებში სვანეთიდან სტიქიით დაზარალებული 120 ეკომიგრანტი ოჯახი დასახლდა. სკოლაც მაშინ აშენდა. აქამდე ხაიშის საჯარო სკოლა არასდროს გარემონტებულა, მოშლილი იყო ყველა კომუნიკაცია, შენობაში წვიმდა. სკოლის გამო სოფელს მოსახლეობაც ტოვებდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში სრულად განახლდა სკოლის ინფრასტრუქტურა, გადაიხურა სასწავლო კორპუსები, გარემონტდა საკლასო ოთახები, გაკეთდა საკონფერენციო დარბაზი, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, იატაკი, კიბეები, მოაჯირები, შეიღება კედლები, დამონტაჟდა თანამედროვე გათბობის სისტემა, მონესრიგდა სველი წერტილები, დასრულდა გარე სპორტული მოედანი. არდადეგების პერიოდში შიდა სპორტული დარბაზიც მოეწყობა. სკოლა სასწავლო და საოფისე ინვენტარით აღიჭურვა.

ხაიშის სკოლა ასევე ადაპტირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მოეწყო პანდუსი, შესაბამისი სველი წერტილები, რამდენიმე დღეში კი, სკოლაში ამოქმედდება ინტეგრირებული კლასი, სადაც 10 სსსმ მოსწავლე ისწავლის. სკოლას ამ მიზნით სამინისტრომ ორი სპეცმასწავლებელი დაუნიშნა.

ხაიშის სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, გასულ წელს სკოლას 7 ოქროსმედალოსანი ჰყავდა. სკოლა ჩართულია სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებში.

ზოგადად, თეთრიწყაროს რაიონში რამდენიმე სკოლა გარემონტდა და სოფელ სამღერეთში უკვე დასრულდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სკოლის აღჭურვის პროცესი და მალე ფუნქციონირებას შეუდგება. რაიონში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელსაც განხორციელდება.

# შეხვედრა 34 წლის შემდეგ

მოხდა ისე, რომ 1980 წლის გაზაფხულზე კურსების გავლა მომიწია ქიმიაში. ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქიმიის საგნის მეთოდისტი იყო ქალბატონი **მიმოზა ქობალია**, რომელმაც მაქსიმუმი გააკეთა თეორიული საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის. ბოლო ორი დღე რთული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას დაუთმო, რაც საუკეთესოდ აღჭურვილ ლაბორატორიას მოითხოვდა. ასეთად მან ქალაქ ფოთის №1 საშუალო სკოლა შეარჩია.

გაოცება ვერ დავმალეთ, ვინც პირველად ვნახეთ ეს ლაბორატორია. ყველა მასწავლებელმა ინდივიდუალურად შეასრულა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. ჩვენს მუშაობას თვალს ადევნებდა **თინა ჭოჭუა**, რომელსაც დახმარებას უწევდა მისი ყოფილი მოსწავლე, ახალგაზრდა მასწავლებელი **ნატრული ტაბიძე**. საკვირველია, როგორ გამოსდიოდათ ყველა რთული ცდა, თამაშ-თამაშით, ადვილად, დაუძაბავად.

გავიდა დრო, ვწუხდი, რომ ასეთი ლაბორატორია ჩვენს ბავშვებს ნანახი არ ჰქონდათ. გავიგე ქალბატონი ნატრულის ტელეფონის ნომერი და პირველი, რაც ვკითხე: იყო თუ არა შემონახული ლაბორატორია პირვანდელი სახით. დასტურის შემდეგ ვთხოვე, 20 მოსწავლე და 5 მასწავლებელი სკოლაში ლაბორატორიის დასათვალიერებლად მივეღეთ.

ვეწვიეთ ფოთის №1 საჯარო სკოლას. საოცრად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს სასწავლო ნაწილის გამგემ **მანანა გუგუშვილმა**, ქიმიის მასწავლებლებმა – **ნატრული ტაბიძემ** და **ქეთევან გერსამიამ**, პედაგოგიური კოლექტივის სხვა წევრებმა.

ჩვენი ბავშვები ყურადღებით ათვალიერებდნენ მოსწავლეთა დერეფანში გამოფენილ ნამუშევრებს, არც ერთი განაკაწრი ან წარწერა კედელზე, კოხტად და ფაქიზად მოვლილია ყველაფერი. მხოლოდ აუდიტორიების და დერეფნების დათვალიერება გიქმნის წარმოდგენას, თუ როგორია სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი დონე, როგორ სათუთად იცავენ და უვლიან სასკოლო ქონებას. შევდივართ მოსწავლეთა ნამუშევრების ქიმიის მუზეუმში. მნახველს აოცებს ურთულესი ხელსაწყოების საუკეთესოდ შესრულებული ნიმუშები, მოდელები და ანაწყობები.

ყველაფერს ჩვენს ციფრულ აპარატებზე ვაფიქსირებთ. ჩვენმა ბავშვებმა არ იციან, რომ უფრო დიდი საოცრება ელით. ლაბორატორიის კარს ქალბატონი ნატრული გვიღებს. არ ვაჭარბებ: ამ სილამაზეს ვერ გადმოსცემ სიტყვებით, იგი უნდა ნახო. ჩვენი ბავშვები იკავებენ ადგილებს და, ნატრული ტაბიძისა და ქეთევან გერსამიას მითითებით, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს ასრულებენ, ატარებენ სახალისო ცდებს: „წყლის დაბადება“, „ვულკანი მაგიდაზე“, „საიდუმლო მელანი“, „მგვრგვინავი აირი“, „ინდიკატორების ფერისცვალება“ და მრავალი სხვ. მასპინძლებმა არ დაიზარეს – ასზე მეტი სინჯარა ისევ გახდა გასარეცხი, დაიხარჯა რეაქტივი, მაგიდები წესრიგში გახდა მოსაყვანი, მაგრამ კარადებში ორი ათასზე მეტი რეაქტივია. ალბათ, მხოლოდ ამ სკოლაშია შესაძლებელი ყველა ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება.

აღნიშნული ლაბორატორია ქალბატონ თინა ჭოჭუას შეუქმნია 1945 წელს. ამ დროიდან მიმდინარეობს მისი სრულყოფა და შევსება რეაქტივებით, ინვენტარ-მოწყობილობებით. სამოცდაათიან წლებში ჩატარდა კონკურსი, რომელსაც, კავშირის მასშტაბით, საუკეთესო ლაბორატორია უნდა გამოევლინა. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე, შესაბამისად, გავიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის და ფოთის პირველი საშუალო სკოლები.

– როგორ დაიცავით ქიმიის ლაბორატორია არეულობის პერიოდში? – ვეკითხები ქალბატონ ნატრულის.

– სკოლის შენობაში ვათენებდით, სადღეღამისო მორიგეობა გვქონდა დაწესებული.

სამწუხაროდ, საქართველოს სკოლების უმრავლესობა გაიქურდა, განადგურდა. ძირითადად, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებს შეეხო უკეთურთა მსახვრალი ხელი.

საქართველოში, ალბათ, ქიმიის ყველა მასწავლებელს აქვს ნანახი ეს ლაბორატორია, მაგრამ არანაკლებ სასურველი იქნება ბავშვებმაც ნახონ და შეიმეცნონ ქიმიის საიდუმლოებანი.

**ინდიკო ლუკავა**
*წალენჯიხის რაიონის მიქავას თემის*
*№2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი*

# როგორ გავხადოთ გაკვეთილი სახალისო – ინტერაქტიული თამაშები სასწავლო პროცესში

სასწავლო წლის დასაწყისში, თბილისის მე-60 საჯარო სკოლაში, დირექტორის – **შოთა მალაზონიას** ინიციატივით, შეიქმნა ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა კათედრის წევრები გაერთიანდნენ. დაიგეგმა და ჩატარდა სამოდელო გაკვეთილები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. აღნიშნულ გაკვეთილებზე პედაგოგებმა მოიწვიეს სკოლის სხვა პედაგოგებიც, რასაც აზრთა გაზიარება და განხილვა-შეფასება მოჰყვა.

მეც ამ ჯგუფის წევრი ვარ, ვასწავლი მესამე კლასს და ჩავატარე ინტეგრირებული გაკვეთილი „ვირტუალური მოგზაურობა კოსმოსში“. ინტეგრირებული საგნები – ბუნება, ქართული, მათემატიკა. გაკვეთილში გამოვიყენე ინტერაქტიული თამაშები. მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ ერთი გაკვეთილის მაგალითზე.

გაკვეთილი მოსწავლისთვის მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, მასწავლებელი სწავლების პროცესში მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს უნდა იყენებდეს. ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ინტერაქტიული თამაშების ჩართვა გაკვეთილში. თამაში ბავშვის განვითარებისათვის აუცილებელია. თამაშში ყალიბდება ბავშვის ფსიქიკური თვისებები და პიროვნული თავისებურებები. თამაში განავითარებს ყურადღებას და მეხსიერებას. თამაშის პროცესში ბავშვი სწავლობს აზროვნებას. ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ თამაშები სწავლის მოტივაციის და მოსწავლის ნებელობის გასავითარებლად. მსგავსი აქტივობები აცოცხლებს სასწავლო პროცესს და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. ამიტომ მეც გადავწყვიტე, გაკვეთილისათვის თამაშის სახე მიმეცა. ჩვენი გაკვეთილის თემა იყო „დედამიწა და გარესამყარო“. ეს თემა შესწავლილი გვქონდა ბუნებისმეტყველების და ქართულის გაკვეთილებზე. კლასი გავყავი ოთხ ჯგუფად – ოთხ კოსმოსურ ეკიპაჟად და შევთავაზე, სლაიდების დახმარებით, ვირტუალური მოგზაურობა კოსმოსში. თითოეულ ჯგუფს წილისყრით შეხვდა სასაუბრო თემა: „კოსმოსი“, „დედამიწა“, „მზე“ და „მთვარე“. პირველ ჯგუფს დავუსვი კითხვები კოსმოსის შესახებ, პარალელურად, ვუჩვენებდი სლაიდებს: გალაქტიკა, ტელესკოპები, ობსერვატორია, კოსმოსური ხომალდი, იური გაგარინი, ბელკა და სტრელკა... მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ თუ სად მივფრინავდით, ხომალდებში ჩასხდომა გადავწყვიტეთ. თუმცა, ხომალდებში ჩასასხდომად გაფანტული ასოებისაგან მათ უნდა აეწყოთ სიტყვები (მთვარე, სხივი, გლობუსი, ჰაერი). კოსმოსში გასაფრენად კი, უნდა გაეშიფრათ კოდი – ამოეხსნათ მათემატიკური მაგალითები, პასუხები შეეფარდებინათ ქართული ანბანის ასოებთან და მიეღოთ სიტყვა „ცოდნა“. ამ დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ ხომალდები მთვარისაკენ გაფრინდნენ. გზად მათ უცხოპლანეტელი შეხვდათ. მფრინავი თეფშის და უცხოპლანეტელის მოძრავმა ანიმაციებმა მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ეკიპაჟმა „დედამიწა“ უცხოპლანეტელის კითხვებს უპასუხა. შემდეგ დაემშვიდობნენ და გზა განაგრძეს.

ილუმინატორიდან გამოჩნდა მზე და მზის შესახებ კითხვები დავუსვი „მზის“ ეკიპაჟს.

კლასს შევთავაზე, სლაიდების მიხედვით შეეთხზათ „ზღაპარი ვარსკვლავთმრიცხველზე“, რასაც საკმაოდ კარგად გაართვეს თავი. დავემშვიდობეთ მზეს და გავაგრძელეთ მოგზაურობა მთვარისაკენ. აქ „მთვარის“ ეკიპაჟს მოუწია კითხვებზე პასუხის გაცემა. მთვარის ზედაპირზე დასაშვებად თითო ჯგუფს 2-2 გამოცანის გამოცნობა მოუწია, დედამიწაზე დასაბრუნებლად კი – კროსვორდის შევსება. თითოეულ აქტივობაში პირობითი ქულები იწერებოდა, რაც ბოლოს შევაჯამეთ, ოღონდ გამარჯვებული არ გამოგვივლენია. მეტი ქულების მქონე ჯგუფი დედამიწაზე პირველი დაეშვა და ა.შ. დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ მოვისმინეთ სიმღერა „ჩაკრულო“. ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელით და „ნორჩი კოსმონავტის“ წოდება მიენიჭა. ამით ჩვენი მოგზაურობა დასრულდა. საშინაო დავალებად, დასაწერად, მივეცი თემა – „ჩემი შთაბეჭდილება“.

ასეთი აქტიური მეთოდების გამოყენებამ გაკვეთილი უფრო საინტერესო გახადა, ჩართული იყვნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ დამსწრე სტუმრებიც. ვფიქრობ, მსგავსი გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. თუ თქვენ ამ სტატიით დაინტერესდით, გაკვეთილის გეგმა და მასალები შეგიძლიათ იხილოთ ჩემს ბლოგზე –
**mziakhuskivadze.blogspot.com**





**მზია ხუსკივაძე**
*თბილისის მე-60 საჯარო სკოლის*
*დაწყებითი კლასის პედაგოგი*

# სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია „სიცოცხლისათვის სახიფათოა“

ეკოლოგიური პრობლემები, ცხოვრების სწრაფი რიტმი, არარაციონალური კვება, მავნე ჩვევები – დამღუპველ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით მოზარდის ფსიქიკაზე.

ამ პრობლემების განხილვა დაედო საფუძვლად კონფერენციას „სიცოცხლისათვის სახიფათოა“, რომელიც სსიპ თბილისის №72 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა ჩაატარეს.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**, კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი** და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები, ყოფილი წარმატებული სპორტსმენები: **ირაკლი აბუსერიძე** და **მურთაზ შელია**, 65-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ნინო მჭედლიშვილი**, 143-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თამარ ჭარბაძე**. კონფერენციის მიზანი იყო ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

VIII[2] კლასელმა მოსწავლეებმა (პედაგოგი – **ესმა გუკასიანი**) წარმოადგინეს სპექტაკლი „სიგარეტის გასამართლება“. IX[1] კლასის მოსწავლემ **სურენ ნაზარიანმა** თამბაქოს მონევით დაზიანებული ფილტვის ხელოვნური მოდელი წარმოადგინა. კონფერენციისთვის მომზადდა მრავალფეროვანი თემები თვალსაჩინო მასალით:

➢ *„პესტიციდები – საზიანო თუ სასარგებლო?!“* – IX[3] კლასის მოსწავლე **ნინო ნატროშვილი** (პედაგოგი – **ირმა კაკუშაძე**);

– *„მოწევა სახიფათოა ჯანმრთელობისათვის“* – IX[1] კლასის მოსწავლეები: **ნინო კენჭაძე, მარი მაზმანოვა, სურენ ნაზარიანი** (პედაგოგი – **ესმა გუკასიანი**);

➢ *„წყლის დაბინძურება და მისი უარყოფითი შედეგი“* – VIII[3] კლასის მოსწავლე **ნინო გოგიაშვილი** (პედაგოგი – **ლია ზურაბაშვილი**);

➢ *„საკვები პროდუქტების დანამატები“* – IX[1] კლასის მოსწავლეები: **ალექსანდრა კაზარიანი, მარი ოვანესიანი, დიანა სარქისიანი** (პედაგოგი – **მარიეტა კარაპეტიანი**);

➢ *„ალერგია“* – X[1] კლასის მოსწავლე **ენი ამოევა** (პედაგოგი – **კარინა მანკულოვა**);

➢ *„რადიაცია“* – XI კლასის მოსწავლე **ნიკიტა დანკო** (პედაგოგი – **ირინა კენჭაძე**);

➢ *„მობილური ტელეფონების უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე“* – X[1] კლასის მოსწავლე **ქრისტინა გაბრიელოვა** (პედაგოგი – **ირინა კენჭაძე**);

➢ *„გლობალური დათბობა, პრობლემები და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე“* – IX[3] კლასის მოსწავლეები:

**ანუკი ქურდაძე, ნუცა ზალუაშვილი** (პედაგოგი – **თამარ ვაშაძე**);

➢ *„როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“* – **ნათია ჯოჯუა**, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი.

მოწვეულმა სტუმრებმა აღნიშნეს ღონისძიების აქტუალობა და კიდევ ერთხელ შეახსენეს მოსწავლეებს, რომ წარმატების ფორმულა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვაშია.

**ნანა აბრამიშვილი**
*დირექტორის მოადგილე*

# ინტეგრირებული გაკვეთილი

სხვადასხვა საგნით ინტეგრირებული სწავლება სინთეზური აზროვნების განვითარებისა და ამავე დროს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომაც ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნონა ყაველაშვილი**) ხშირად ტარდება საჩვენებელი გაკვეთილები, მათ შორის ინტეგრირებული, რაც მოტივაციას აძლევს მოსწავლესა და მასწავლებელს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა კათედრებთან და ერთად ვაკეთებთ არჩევანს თემებზე, რომლებზედაც შეიძლება ასეთი გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება.

ქართულისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელთა შეხვედრისას დაგვებადა იდეა, ჩაგვეტარებინა ქართულისა და მუსიკის ინტეგრირებული გაკვეთილი მეშვიდე კლასში თემაზე: „სიმღერად ქცეული ლექსები“. გაკვეთილი მუსიკის მასწავლებელ, **ნინო ჭიღლაძესთან** ერთად დავგეგმე. მიზანი სტანდარტთან შესაბამისობაში წარმოვადგინეთ და ვაჩვენეთ ორივე კათედრის წევრებს. მინდოდა, მიღებული ცოდნა სხვა კუთხით დამენახვებინა ბავშვებისათვის, თითოეული ლექსი ამემღერებინა, ინტერესი გამეღვიძებინა.

გავითვალისწინე მოსწავლეთა შესაძლებლობები და მის შესაბამისად გამოვიყენე სხვადასხვა აქტივობები: კითხვა-პასუხი, სამწუთიანი ესე, თემის რეზიუმირება.

გაკვეთილზე თემის მიხედვით წარმოდგენილი ლექსები არა მარტო მხატვრულად წაიკითხეს მოსწავლეებმა, არამედ ფორტეპიანოს თანხლებით მუსიკალურ ნომრებად შეასრულეს მუსიკის მასწავლებელთან ერთად. ასევე მოისმინეს სიმღერათა აუდიოჩანაწერებიც. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, თითოეული ლექსი კითხვა-პასუხით ამოეწურათ და მოეხდინათ ცოდნის სინთეზი. ამას ენაცვლებოდა მუსიკის მასწავლებლის კითხვები შესრულებული სიმღერის წარმომავლობის, ჟანრის, ავტორების შესახებ.

თემის დასრულების შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ როგორ მიაღწიეს მოსწავლეებმა გეგმით გათვალისწინებულ, კონკრეტულ შედეგს, წარმოადგინეს ზეპირი თვითშეფასება. ეს მათ დაეხმარათ, თავად გაეანალიზებინათ სწავლის პროცესი. დასასრულს, ორივე საგნის მასწავლებელმა, მოსწავლეები შევაფასეთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმით. გადავიღეთ გაკვეთილის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა.

გაკვეთილიდან შეძენილი ცოდნა დიდხანს გვემახსოვრება ჩვენ და ჩვენს მოსწავლეებს. მომავალშიც შევეცდებით ყველა სიახლე ავსახოთ სასწავლო პროცესში.

**ელისო მერმანიშვილი**
*ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კათედრის გამგე*

# უსაფრთხო მიგრაციის ევროპული გამოცდილება

გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის სტუდენტებთან საზღვარგარეთ სწავლისა და ლეგალური დასაქმების საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შედგა და მისი ორგანიზატორი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) იყო.

საინფორმაციო შეხვედრაზე კოლეჯის სტუდენტებმა უახლესი, მიუკერძოებელი ინფორმაცია მიიღეს საზღვარგარეთ სწავლის, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოეთში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაცია დაფუძნებული იყო აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიღწევებზე, შესაძლებლობებსა და ამოცანებზე.

ღონისძიების ფარგლებში, სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** მიმართა, სწავლაში წარმატებები უსურვა და მოუწოდა, სურვილის შემთხვევაში, სწორი არჩევანი გააკეთონ უსაფრთხო მიგრაციის სასარგებლოდ, რათა არ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი და თავიდან აიცილონ არალეგალური მიგრაციის სხვა საფრთხეები.

## წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

## სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

## თემატური პლაკატები
### დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. სოფლახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

## თემატური პლაკატები
### მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საქანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

## ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

## მიმდინარეობს ხელმოწერა

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

**თითო ტომის ფასი – 12 ლარი**

## შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

**ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას**

**ფასი – 15 ლარი**

## გამომცემლობა „დიოგენე“

**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
**ფასი – 4 ლარი**



**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
**ფასი – 10 ლარი**

**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
**ფასი – 10 ლარი**

### ქიმია
**განახლებული**
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
**ფასი – 8 ლარი**

### ფიზიკა
**განახლებული**
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
**ფასი – 8 ლარი**

### გეოგრაფია
**განახლებული**
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
**ფასი – 8 ლარი**

### ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
**ფასი – 9 ლარი**

### ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
**ფასი – 4 ლარი**

### ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
**ფასი – 6 ლარი**

### მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
**ფასი – 5 ლარი**

### ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი
**სასკოლო**
**პირველი ნაწილი – 10 ლარი**
**მეორე ნაწილი – 10 ლარი**

## რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



**თითო ტომის ფასი – 9 ლარი**

*ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:*
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK